ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

№ 10 (11 978)

10 – 13 თებერვალი 2006 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან • გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.org.ge/lelo


## დღეს ტურინში



## გაზეთის დაბეჭდვამდე:

### ბეისბოლი და სოფტბოლი ოლიმპიური სახეობები აღარ იქნება

2012 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ბეისბოლს და სოფტბოლს აღარ შეიტანენ — ასეთი გადაწყვეტილება მიიღო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიამ.

„ჩვენ გულმოდგინედ დავაკვირდებით თუ როგორ ჩაივლის ოლიმპიური შეჯიბრებები ამ სახეობებში პეკინის ოლიმპიადაზე და არაა გამორიცხული კვლავ დავუბრუნდეთ საკითხის განხილვას — ჩავრთოთ თუ არა ბეისბოლი და სოფტბოლი 2016 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში" — განაცხადა სოკ-ის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ.**

### 2016 წლის ოლიმპიადის მასპინძელი კოპენჰაგენში დასახელდება

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია 2009 წელს ჩატარდება კოპენჰაგენში. ეს საპატიო უფლება დანიის დედაქალაქმა კაიროსთან უკომპრომისო დავაში მოიპოვა. 59 ხმა 40-ის წინააღმდეგ — ასეთი იყო კენჭისყრის შედეგი. ასე რომ, სამი წლის შემდეგ სწორედ კოპენჰაგენში გახდება ცნობილი თუ ვინ გახდება ოლიმპიადა-2016-ის მასპინძელი ქალაქი.

### როგემ სამარანჩს მაგიდის ფეხბურთში აჯობა

ტურინში ზამთრის ოლიმპიადაზე ჩავიდა სოკ-ის როგორც ახალი, ისე ყოფილი პრეზიდენტი. **ჟაკ როგე** უკრაინის ეოკ-ის პრეზიდენტ **სერგეი ბუბკასთან** ერთად ეწვია სასტუმროს, სადაც დაბინავებულია **ხუან ანტონიო სამარანჩი,** რათა ამ უკანასკნელთან ეთამაშა მაგიდის ფეხბურთი. „სამწუთიან მატჩში" ანგარიშით 1-0 გაიმარჯვა სოკ-ის ახლანდელმა პრეზიდენტმა.

### ტურინში ბილეთების გაყიდვის ტემპი გაიზარდა

ოლიმპიადის სტარტის წინ ტურინში არნახულად გაიზარდა შეჯიბრებებზე დასასწრები ბილეთების გაყიდვის ტემპი. ოლიმპიადის ორგკომიტეტის წარმომადგენლის განმარტებით, ფიგურულ ციგურაობაზე და ციგურებით რბენაში ასპარეზობებზე დასასწრებად ყველა ბილეთი პრაქტიკულად გაყიდულია. ბილეთები დარჩენილია მხოლოდ ჰოკეისტთა წინასწარი შეხვედრების მატჩებზე. ამასთან, ბოლო მომენტში შეკვეთები ბილეთებზე ორგკომიტეტმა მიიღო რუსეთიდან, აშშ-დან და კანადიდან. საერთოდ, ნავარაუდევია ბილეთების გაყიდვიდან ორგკომიტეტმა მიიღოს 64 მილიონი ევრო.

### რუსების გამოკითხვით...

რუსეთში გულშემატკივრების 44 პროცენტი დარწმუნებულია, რომ ამ ქვეყნის ნაკრები წარმატებით გამოვა ტურინში. ეს დასკვნა გაკეთებულია გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგად. გამოკითხულთა 28 პროცენტი ფიქრობს, რომ რუსეთელთა გამოსვლა ოლიმპიადაზე უწინდებურად წარმატებული იქნება. 73 პროცენტი ფიქრობს, რომ რუსეთი დიდ წარმატებას მიაღწევს ქალთა ფიგურულ ციგურაობაში. 34 პროცენტს კი ვაჟების იმედი აქვს. ქალთა ჰოკეით დაინტერესდა გამოკითხულთა 17 პროცენტი, ვაჟთა ჰოკეით — 60 პროცენტი. გამოკვლევამ ისიც აჩვენა, რომ მოსახლეობის 33 პროცენტი განწყობილია ოლიმპიადის ტრანსლაციას ტელევიზიით უყუროს გამუდმებით. 56 პროცენტი ადასტურებს, რომ თამაშებს დროდადრო უყურებს, თანაც ზოგიერთ სპორტის სახეობას. 15 პროცენტს საერთოდ არ აინტერესებს ეს ოლიმპიადა.



### ჩემპიონატის შესაფერისი კრივი

გუშინწინ დილმის საჭიდაო კომპლექსში დაიწყო კრივში საქართველოს 2006 წლის ჩემპიონატი. ტურნირმა პირველ დღესვე დაადასტურა, რომ სპორტის ამ სახეობამ ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქსა და რაიონში თავის ირგვლივ შემოიკრიბა ათასობით ახალგაზრდა, რომელთაგან 120-მდე რჩეული იბრძვის ახლა საქართველოს ჩემპიონობისთვის. ფინალები გაიმართება 11 თებერვალს. გამარჯვებულებისგან დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები, რომელიც ევროპის ჩემპიონატისთვის მოემზადება. ეს ტურნირი ჩატარდება ივნისში.

ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარების საკითხების მოგვარებაში ორგანიზატორებს მხარში დაუდგა სააფთიაქო ფირმა „PSP — ჩვენი ოჯახის აფთიაქი".

წარმატებით დაიწყეს ასპარეზობა ცნობილმა მოკრივემ ფოთელმა **ნიკოლოზ იზორიამ,** ქუთაისელმა **კობა ფხაკაძემ,** გორელმა **ვასილ ყიზილაშვილმა,** ფოთელმა **ლევან ღვამიჩავამ,** ჭიათურელმა **ანატოლი ქავთარაძემ** და სხვებმა.

### გახსნის დღე ღრუბლიანი იქნება

ტრადიციულად ზამთრის ოლიმპიადასთან დაკავშირებით ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამინდს. ტურინის ოლიმპიადის დღეების ამინდის გამოცნობაზე 75 იტალიელი სინოპტიკოსი მუშაობდა 65 მობილურ მეტეოსადგურში. მკვლევარები იყენებდნენ ინფრაწითელ სხივებიან თერმომეტრებს და ქარის მიმართულების დასადგენად ხმოვან საზომებს. თამაშების დღეებში გამოუშვებენ 370 მეტეობიულეტენს. ტურინში ჰაერის ტემპერატურას ყოველდღიურად ათ-ათი წუთის გამოშვებით 66 წერტილში გაზომავენ, ჰაერის ტენიანობას კი 57, ქარის ძალას — 46 წერტილში. უკვე ცნობილია უახლოესი 4-5 დღის პროგნოზი. მოსალოდნელი არ არის არც ქარბუქი, არც ტემპერატურის ანომალური მომატება. პარასკევს, თამაშების გახსნის დღეს, ტურინში ღრუბლიანი ამინდი იქნება, მაგრამ უნალექოდ, ტემპერატურა პლუს 2-3 გრადუსი დაფიქსირდება.

### ეკოლოგიას საფრთხე არ ემუქრება

როგორც ტურინის ოლიმპიადის მასპინძლები ამტკიცებენ, ეს ოლიმპიადა იქნება „ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა" ოლიმპიური სპორტის ისტორიაში. როგორც იტყობინებიან, ევროკავშირის ექსპერტთა კომისიამ ტურინს მისცა სერთიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ „ოლიმპიადა ეკოლოგიურად შეთავსებადია გარემოსთან". ამავე დროს სერთიფიკატით დადასტურებულია, რომ ოლიმპიადის ორგანიზატორებმა შეასრულეს ბუნების დაცვის ყველა ვალდებულება, რომელიც მათ აიღეს ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლად ტურინის გამოცხადების შემდეგ. ყოველივე ზემოთქმულის გამო, ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება ორგკომიტეტი დააჯილდოვოს სპეციალური „მწვანე მედლით".

## საზეიმოდ გაიხსნება ზამთრის ოლიმპიური თამაშები



### იტალიამ მედლებზე პრემიალური გაზარდა

გასული ზამთრის ოლიმპიადასთან შედარებით, იტალიაში საგრძნობლად გაიზარდა ფულადი ჯილდო ქვეყნის იმ ათლეტებისათვის, რომლებიც მოიპოვებენ ოლიმპიურ მედალს. თუ ოთხი წლის წინათ ჩემპიონები იღებდნენ 38 400 ევროს, ტურინში გამარჯვებისათვის ისინი 130 000 ევროს მიიღებენ. ვერცხლის მედალი — 65 000 (სოლტ-ლეიკში 20 500 იყო), ბრინჯაოს მედალი კი — 40 000 (10 200) ევრო ეღირება.

### 400 მილიონზე მეტი რეკლამიდან

ტურინის ზამთრის ოლიმპიადას რეკლამამ 400 მილიონ ევროზე მეტი მოუტანა. თამაშების სპონსორი გახდა 63 ფირმა. 271,5 მილიონი ევრო გაიხადეს თვით იტალიელებმა. 130 მილიონი შემოვიდა პარტნიორი ორგანიზაციებიდან, სარეკლამო კონტრაქტებიდან და სატელევიზიო გადაცემების უფლების შესყიდვიდან. შემოსავლების ძირითადმა წყაროებმა ორგკომიტეტის ხარჯების 79 პროცენტამდე უნდა დაფაროს.

### ხაკლიმ უარი თქვა ალამის წაღებაზე

ცნობილმა გერმანელმა მოციგავემ, სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **გეორგ ხაკლიმ** უარი განაცხადა გაუძღვეს თავის გუნდს თავისივე ქვეყნის ალმით. მიზეზად მან ის დაასახელა, რომ მაქსიმალურად სურს განეწყოს ტურნირისთვის, რომლის სტარტი თამაშების გახსნის მეორე დღესვეა. იმისათვის, რომ გახსნის ცერემონიალში მონაწილეობა მიიღოს, 39 წლის ხაკლი უნდა ჩამოვიდეს ბაზიდან ტურინში, გაიაროს მთავარ ოლიმპიურ სტადიონზე, იმავე საღამოს დაბრუნდეს ბაზაზე ჩეზანში, დილით კი სტარტზე დადგეს. გერმანელთა დელეგაციის ხელმძღვანელობას სასწრაფოდ მოუხდა თავისი ვეტერანის შემცვლელის ძიება. ბოლოს მიიღეს გადაწყვეტილება, ეს მისია დააკისრონ ბიატლონისტ ქალს, მსოფლიო თასის ამ სეზონის ლიდერს **კატი ვილხელმს.** ის იქნება მესამე ქალი გერმანიიდან, რომელსაც წილად ხვდა პატივი ალუმზე გაიტანოს გერმანიის ალამი ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნაზე.

სარაევოში (1984) დროშა მიჰქონდა ციგურებით მრბოლს **მონიკა ხოლცნერს,** სოლტ-ლეიკში (2002) — სამთომოთხილამურე **ხილდე გერტს.**

### მასპინძლებს ორი მხტომელი გამოაკლდა

ტრამპლინიდან მხტომელი ორი იტალიელი ამ ოლიმპიურ თამაშებს, ვარჯიშის დროს მიღებული ტრავმის გამო გამოტოვებს. **მარკო ბელტრამეს** და **სტეფანო ჩიაპოლინოს** თავი აქვთ დაზიანებული. ექიმებმა ორივეს აუკრძალეს ახლო მომავალში შეჯიბრებებში მონაწილეობა. ამ არასასურველი შემთხვევის გამო, იტალიელები იძულებული გახდნენ, საერთოდ, განეცხადებინათ უარი ტრამპლინიდან ხტომაში მონაწილეობის მიღებაზე.

### ოლიმპიური ჩირაღდანი ტურინში ჩავიდა

ოლიმპიურმა ცეცხლმა 63-დღიანი მოგზაურობის შემდეგ, გუშინ, ტურინში ჩააღწია. ოლიმპიადის დედაქალაქში ჩირაღდანი გაატარა იმ ორმა ადგილობრივმა მაცხოვრებელმა, რომლებიც წილისყრით შეირჩნენ. პროცესიას ქალაქის ქუჩებში უამრავი ხალხი მიჰყვებოდა. ოლიმპიური ცეცხლის მოგზაურობა გუშინ საღამოს დამთავრდა მას შემდეგ, რაც 1960 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ლივიო ბერუტიმ** იგი ტურინის მერს სერჯო კიამპარინოს გადასცა. ხოლო თუ ვინ აანთებს დღეს ოლიმპიურ ცეცხლს თამაშების გახსნის ცერემონიალზე, ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავენ. როგორც ადრე იუწყებოდნენ, პოტენციური კანდიდატურის შერჩევისთვის ცხარე კამათი მიმდინარეობდა.

## ოლიმპიადის განრიგი 11-13 თებერვალი

**11 თებერვალი: ბიატლონი.** ვაჟები. ინდივიდუალური — 16:00; **ციგაობა.** ვაჟები. ერთადგილიანი (I ცდა) — 19:00, ერთადგილიანი (II ცდა) — 21:30; **ციგურებით რბენა.** ვაჟები. 5000 მ. — 18:30; **სათხილამურო ორჭიდი.** ტრამპლინი 90 მ. — 14:00, 15 კმ, რბენა — 18:00; **ტრამპლინიდან ხტომა.** 90 მ. კვალიფიკაცია — 15.00; **ფიგურული ციგურაობა.** სპორტული წყვილები. მოკლე პროგრამა — 22:00; **ფრისტაილი.** ქალები. მოგული. კვალიფიკაცია — 18:00, მოგული. ფინალი — 22:00; **ჰოკეი.** ქალები. ფინეთი — გერმანია — 16:00, შვედეთი — რუსეთი — 18:30.

**12 თებერვალი. სამთო თხილამურები.** ვაჟები. სწრაფდაშვება — 15:00; **ციგაობა.** ვაჟები. ერთადგილიანი (III ცდა) — 19.00, ერთადგილიანი (IV ცდა) — 21:30; **ციგურებით რბენა.** ქალები. 3000 მ. — 19:30; **სნოუბორდი.** ვაჟები. კვალიფიკაცია — 13:00, ფინალი — 17:00; **თხილამურებით რბენა.** ქალები. 15 კმ გამოდევნებით — 13:00, ვაჟები. გამოდევნებით — 16:45; **შორტ ტრეკი.** ვაჟები. 1500 მ. ფინალი — 22:30, ქალები. 500 მ. კვალიფიკაცია, ქალები. 3000 მ. ესტაფეტა. კვალიფიკაცია.

**13 თებერვალი. ბიატლონი.** ქალები. 15 კმ. ინდივიდუალური — 15:00. **ციგურებით რბენა.** ვაჟები. 5000 მ, — 18:30; **სნოუბორდი.** ქალები. კვალიფიკაცია — 13:00, ფინალი — 17:00; **ფიგურული ციგურაობა.** სპორტული წყვილები. თავისუფალი პროგრამა — 22:00; **ჰოკეი.** ქალები. შვედეთი — იტალია — 18:00, ფინეთი — შვეიცარია — 20:30, სლოვაკეთი — ყაზახეთი — 19:00, აშშ — შვედეთი — 20:00, ჩეხეთი — იტალია — 23:00, ფინეთი — კანადა — 00:00; **ქერლინგი.** ვაჟები — 12:00, ზელანდია — შვედეთი, იტალია — ბრიტანეთი, ნორვეგია — აშშ, ფინეთი — შვეიცარია (ყველა თამაში — 12:00), გერმანია — კანადა, ფინეთი — აშშ, ბრიტანეთი — ზელანდია, იტალია — შვედეთი (ყველა თამაში — 22:00).



# მოფარიკავეები იზრდებიან, მემკვიდრეობითობა აღდგება

თაობათა ცვლის ლოგიკური პროცესიდან სპორტის ბევრი სახეობა საქართველოში რა მიზეზითაც ამოვარდა, ყველამ კარგად იცის. არც ფარიკაობას ულხინდა დუხჭირი ცხოვრების წლებში. მემკვიდრეობითობა აქაც შეწყდა. ფედერაცია ყველაფერს აკეთებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. დღეს, მართალია, არ გვყავს მოზრდილთა ნაკრები, მაგრამ არიან პერსპექტიული ჭაბუკები, ახალგაზრდები და იუნიორები, რომლებმაც ახლო მომავალში ასაკობრივი მემკვიდრეობითობა თაობებს შორის სრულად უნდა აღადგინოს. ამ ამოცანის გადაჭრის გზაზე ფედერაცია (პრეზიდენტი **არჩილ გოგელია**) უმთავრეს საზრუნავად თვლის ჩვენი მოზარდი მუშკეტერების მონაწილეობას სხვადასხვა რანგის ტურნირებში. გამოცდილება და კიდევ გამოცდილება, აი, რა არის მთავარი. საშეჯიბრო გამოცდილების მიღება კი ძვირადღირებული ფუფუნებაა, თუმცა, ფედერაცია მაინც ახერხებს მეტნაკლებად გადაჭრას ეს პრობლემა საკუთარი ძალებით.

ჩვენი მოფარიკავეების წინსვლის გზაზე უდავოდ საჭირო გადაწყვეტილება იყო ბერლინის ყოველწლიურ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა. მით უფრო, რომ ახალი სპორტული სეზონი ეს-ესაა დაიწყო. ტურნირის ავტორიტეტზე მეტყველებს თუნდაც ისიც, რომ მას თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია აქვს და 25-30-ზე ნაკლები ქვეყანა არასდროს მონაწილეობს. ამჯერად 25 ქვეყნის დაშნით მოფარიკავემ მოიყარა თავი ბერლინში „თეთრი დათვების" სახელწოდებით გამართულ ამ ტურნირზე. საქართველოდან ხუთი სპორტსმენი გავიდა საფარიკაო ბილიკზე. პირველი ეტაპი ხუთივემ წარმატებით გაიარა. ჯგუფური ტურნირის შემდგომ მეორე, უკვე შერჩეულთა ასევე ჯგუფურ ეტაპზე ჩვენებურებიდან ფლეიოფში მხოლოდ **ანზორ ალბრეხტმა** გააღწია, სადაც ოლიმპიური სისტემით წარიმართა შეჯიბრება. საბოლოოდ ანზორმა მე-17-22 ადგილი გაიყო. ალბრეხტის გარდა მეორე ეტაპზე მონაწილეობდა **დავით ელბაქიძე** და **დავით არველაძე**, პირველ ეტაპი კი ამ სამეულის გარდა წარმატებით გაიარეს **ჯემალ ჯიქიამ** და **გიორგი სილაგაძემ.**

**როგორ შეაფასებდით ჩვენების გამოსვლას?** ამ შეკითხვაზე საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მორის სახვაძემ** ასე უპასუხა: „25 ქვეყნის 220 მონაწილეს შორის ჩვენი წარმომადგენელი რომ 32 უძლიერესში მოხვდა, ეს უკვე წარმატებაა. ამასთან, მინდა ხაზი გავუსვა ორ გარემოებას: პირველი — ჩვენი ხუთივე მოფარიკავე იუნიორია და ისინი ამ ტურნირში თავისზე უფროსებს ეჯიბრებოდნენ; მეორე — იმ პირობების გათვალისწინებით, რა პირობებშიც ემზადებიან ჩვენი მოფარიკავეები, შედეგებზე საყვედური არ გვეთქმის. წლეულს ბევრი შეჯიბრებაა დაგეგმილი. უახლოესი ასპარეზობა იქნება იუნიორთა საქართველოს პირველობა, რომელიც თბილისში 13-16 თებერვალს ჩატარდება. მარტში ირანის საერთაშორისო ტურნირში ვგეგმავთ მონაწილეობას, სადაც მოფარიკავეები დაშნაში, რაპირაში და ხმალში იასპარეზებენ. მაისში კი თბილისში გვინდა ჩავატაროთ საერთაშორისო ტურნირი მეზობელი ქვეყნების — საქართველოს, თურქეთის, ირანის, სომხეთისა და აზერბაიჯანის რჩეულ მოფარიკავეთა მონაწილეობით. ყველაფერი კარგად იქნება, თუ სასპარეზო სარბიელის საკითხი მოგვარდება. თბილისის საფარიკაო დარბაზი კეთილმოუწყობელია და ასეთი დონის ტურნირს იქ ვერ ჩავატარებთ".

**ცოტნე ბაქრაძე**

# კიდევ ერთი იაძე სამბოში

ოლეგ იაძის თავდადება სამბოს ტრადიციების განვითარებისა და შემდგომი განმტკიცებისათვის საქართველოში, ყველას კარგად მოეხსენება. ამიერიდან ამ გვარის კიდევ ერთ სახელს, რომელიც დაკავშირებულია სამბოსთან, გაიგონებთ და, ეჭვიც არ შეგეპაროთ, რომ ეს ახალგაზრდა მომავალში არაერთი სასახელო მიღწევით გამოიჩენს თავს, გაახარებს ქვეყანას. ათვლა კი უკვე დაიწყო. დაიწყო ჟენევაში გამართულ საერთაშორისო ტურნირიდან, სადაც აშშ-ს, კანადის, მექსიკის, ბრაზილიის, ვენესუელის, ევროპის სხვადასხვა ქვეყნისა და ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკების (სულ 19 ქვეყანა) მონაწილეობდა. თანატოლებთან (ახალგაზრდები) ჭიდილში წაუგებლად ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვაჟი, საბაჟო აკადემიის პირველკურსელი გიორგი იაძე (82 კგ).



ამავე ტურნირში ექსიდან ექსივე შეხვედრა მოიგო გარდაბნელმა ბექა იმერლიშვილმა (74), რომელიც ჯერ იუნიორია, მაგრამ დიდებში იასპარეზა და უძლიერესის სახელს დაეუფლა.

ტურნირში მხოლოდ ზემოხსენებული ორი ფალავანი მონაწილეობდა.

**ცოტნე ბაქრაძე**

**სურათზე: მარცხნიდან — გიორგი იაძე, ლეგ იაძე და ბექა იმერლიშვილი (ფოტო რობერტ ბაგოიანისა).**

# ოლიმპიური ვიქტორინა

***1. რამდენი ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავს საქართველოს?***

ა — 29
ბ — 30
გ — 33

***2. ვინ იყო პირველი ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან?***

ა — რაფაელ ჩიმიშკიანი (ძალოსნობა)
ბ — მზია ჯუღელი (ტანვარჯიში)
გ — დავით ციმაკურიძე (ჭიდაობა)

***3. რამდენი საპატიო პრეზიდენტი ჰყავს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს?***

ა. — ერთი
ბ — ორი
გ — სამი

***4. რომელ წელს და სად გავიდა საქართველოს სპორტული დელეგაცია დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით ოლიმპიურ თამაშებში?***

ა — 1994 წელს ლილეჰამერში
ბ — 1996 წელს ატლანტაში
გ — 1998 წელს ნაგანოში

***5. რომელი წლის ოლიმპიურ თამაშებში არ მიუღიათ მონაწილეობა საქართველოს ათლეტებს საბჭოთა პერიოდში?***

ა — 1976 წელს
ბ — 1980 წელს
გ — 1984 წელს

**წინა ნომრის ვიქტორინის პასუხები:**
პასუხები: 1-ა, 2-გ, 3-ბ, 4-ბ, 5-ა.

**შეკითხვა „ლელოს"**

**შეკითხვა:** თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულ ვიქტორინაში ამოვიკითხე, რომ ჩატარებულა ზაფხულის რიგგარეშე ოლიმპიური თამაშები.

გთხოვთ გვიპასუხოთ როდის, სად და რატომ ჩატარდა რიგგარეშე თამაშები?

**კახა სარალიძე, რატი ჯელიძე, რუსთავი.**

**პასუხი:** ზაფხულის რიგგარეშე ოლიმპიური თამაშები ჩატარდა 1906 წლის 22 აპრილიდან 6 მაისის ჩათვლით ათენში. მონაწილეობდა 20 ქვეყნის 884 სპორტსმენი (მათ შორის 7 ქალი). საქმე იმაშია, რომ I ოლიმპიური თამაშების (1896 წ.) ათენში წარმატებით ჩატარების შემდეგ, საბერძნეთმა თხოვნით მიმართა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, ათენი გამოცხადებულიყო აღორძინებული თამაშების ჩატარების მუდმივ ადგილად. სოკ-მა უარყო ეს წინადადება, მაგრამ საბერძნეთს ნება დართო ჩაეტარებინა „შუალედური ოლიმპიადები" ოლიმპიურ თამაშებს შორის. საბერძნეთმა მხოლოდ ერთი ასეთი თამაშები ჩაატარა. ამასთან, 1906 წლის რიგგარეშე ოლიმპიადა არ იქნა აღიარებული ოფიციალურად და არ შევიდა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ჩამონათვალში.

# ანტიკური ოლიმპიადებიდან დღემდე

## მესამე ოლიმპიური თამაშები





მესამე თამაშები გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ სენტ-ლუისში (მისურის შტატი) 1904 წლის 7 ივლისიდან 23 ნოემბრის ჩათვლით. მონაწილეობდა 12 სახელმწიფოს 647 სპორტსმენი, მათ შორის 6 ქალი. მედლები გათამაშდა სპორტის 17 სახეობაში. მედლების 102 კომპლექტიდან ყველაზე მეტი — 256, წილად ხვდათ ამერიკელ სპორტსმენებს. ისინი წინ იყვნენ ოქროს მედლების რაოდენობითაც — 84.

სენტ-ლუისის ოლიმპიური თამაშები, როგორც წინა, პარიზის თამაშები, საერთაშორისო გამოფენის შემადგენელი ნაწილი იყო. სენტ-ლუისის გამოფენის ორგანიზატორები, პარიზის გამოფენის ორგანიზატორებისაგან განსხვავებით, აქტიურად ჩაერთვნენ ოლიმპიადის მომზადებისა და ჩატარების საკითხების გადაწყვეტაში, რამაც თავისი დადებითი შედეგი გამოიღო — მაღალი იყო, როგორც თამაშების ორგანიზაციული დონე, ისე სპორტული შედეგები.

ოლიმპიურ თამაშებში პირველად მონაწილეობდა ზანგი სპორტსმენი. ეს იყო ამერიკელი **ჯორჯ კულჟი.**

ცალკეულ სპორტსმენთა ნადავალი გამოირჩეოდა მედლების სიუხვით. განსაკუთრებით — მძლეოსნობაში. აშშ-ის მძლეოსანმა **არჩი ჰანმა** ოქროს სამი მედალი მოიპოვა — 60, 100 და 200 მ. რბენაში, შესაბამისად შედეგები იყო 7,0; 11,10 და 21,6 წმ. მისი თანაგუნდელი



**ბერძენმა დიმიტროს-ტოფალოსმა 142 კგ. სიმძიმე ასწია და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა**

**ჯეიმს ლაითბორდი** კი პირველი იყო 800 მ (1.56,0), 1500 მ (4.05,4) და 1500 მ-ზე წინაღობებით რბენაში (7.39,6). **გარი ჰილმენი** უძლიერესი იყო თარჯრბენში 200 და 400 მეტრზე (შესაბამისად — 24,61 და 53,3). **რეი იურიმ** წინა ოლიმპიადაზე მოპოვებულ ოქროს სამ მედალს კვლავ ასეთივე სინჯის ჯილდო მიუმატა ადგილიდან სიმაღლეზე, გამორბენით სიგრძეზე ხტომასა და სამხტომში. ბირთვის კვრაში ახალი ტექნიკის გამოყენებით (14,808 მ) გაიმარჯვა ამერიკელმა **რელფ როუზიმ.** საერთოდ, მძლეოსნობაში გათამაშებულ 25 ოქროს მედლიდან ამერიკელთა წილად 23 მედალი მოდიოდა.

თამაშების ერ-ერთი გმირი იყო კუბელი მოფარიკავე **რაიმონ ფონსტი.** პარიზის ოქროს მან ოქროს სამი მედალი დაუმატა (დაშნა, რაპირა, გუნდური). მისი სპორტული კარიერა თითქმის 50 წელიწადი გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში საერთაშორისო ასპარეზობებში მან 125 მედალი და 25 დიდი პრიზი მოიპოვა. მსოფლიოში დღესაც უდიდესი პოპულარობით სარგებლობს მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც მის სახელს ატარებს და კუბის დედაქალაქ ჰავანაში ყოველწლიურად იმართება.

ძალოსანთა შეჯიბრება არ იყო დაყოფილი წონით კატეგორიებად, აქ ორი ხელით სიმძიმეების აწევაში პირველი იყო ბერძენი **ჰერიკლეს კაკუზისი,** ხოლო ცალი ხელით სიმძიმეების აწევაში გაიმარჯვა ამერიკელმა **ოტო ოსტოჰმა.**

მოკრივეთა შეჯიბრებაში დაშვებული იყო ერთი და იგივე სპორტსმენის გამოსვლა სხვადასხვა წონაში. ასე გახდა მჩატე და მსუბუქ წონებში თამაშების ჩემპიონი ამერიკელი **ო. კირკი.** ეს შემთხვევა პირველი და უკანასკნელია თამაშების ისტორიაში.

ვაჟ მშვილდოსანთა შორის ჩემპიონი ამერიკელი **გალენ სპენსერი** გახდა. იგი მაშინ 64 წლისა იყო. დღემდე ის ყველაზე უხნეს ოლიმპიელ მშვილდოსნად რჩება თამაშების ისტორიაში. ქალ მშვილდოსანთა შორის ოქროს ორ მედალს დაეუფლა ამერიკელი **მერი ჰაუელი.**

სენტ-ლუისის თამაშებზე პირველად ჩართეს პროგრამაში კალათბურთი. ეს სუფთა ამერიკული სპორტის სახეობა იყო და გამარჯვებაც ამ ქვეყნის ნაკრებს დარჩა.

აღსანიშნავია, რომ სენტ-ლუისის თამაშებში არ მონაწილეობდნენ იმ დროის გამოჩენილი სპორტსმენები და ცალკეული მოწინავე სპორტული სახელმწიფოები. ეს ძირითადად გზის სიშორით იყო გამოწვეული. ამერიკაში სპორტსმენთა გამგზავრება დიდი თანხა ჯდებოდა. ალბათ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ თამაშებზე სპორტის ყველა სახეობაში ამერიკელები დომინირებდნენ.

**მესამე ოლიმპიური თამაშები. 1904. მოპოვებული მედლები**

| № | ქვეყნები | ო. | ვ. | ბ. | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | აშშ | 84 | 91 | 81 | 256 |
| 2. | გერმანია | 5 | 5 | 5 | 15 |
| 3. | კუბა | 5 | 3 | 3 | 11 |
| 4. | კანადა | 4 | 1 | - | 5 |
| 5. | უნგრეთი | 2 | 1 | 1 | 4 |
| 6. | საბერძნეთი | 1 | - | 1 | 2 |
| 7. | დიდი ბრიტ. | 1 | - | - | 1 |
| 8. | ირლანდია | - | 1 | - | 1 |
| 9. | ავსტრია | - | - | 1 | 1 |
| | | 102 | 102 | 92 | 296 |

**მესამე ოლიმპიური თამაშები 1904 წელი. სპორტის სახეობები და გათამაშებული მედლების რაოდენობა:**

| № | სპორტის სახ. | ვაჟ. | ქალ. | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. | აკადემიური ნიჩბ. | 11 | - | 11 |
| 2. | გოლფი | 1 | - | 1 |
| 3. | ველოსპორტი | 7 | - | 7 |
| 4. | კალათბურთი | 1 | - | 1 |
| 5. | კრივი | 7 | - | 7 |
| 6. | ლიაკროსი | 1 | - | 1 |
| 7. | მშვილდოსნობა | 3 | 3 | 6 |
| 8. | მძლეოსნობა | 25 | - | 25 |
| 9. | როკი | 1 | - | 1 |
| 10. | ტანვარჯიში | 12 | - | 12 |
| 11. | ფარიკაობა | 6 | - | 6 |
| 12. | ჩოგბურთი | 2 | - | 2 |
| 13. | ცურვა,წყალში ხტ. | 11 | - | 11 |
| 14. | ძალოსნობა | 2 | - | 2 |
| 15. | ხელბურთი | 1 | - | 1 |
| 16. | ჭიდაობა. ბ/რ | 7 | - | 7 |
| 17. | წყალბურთი | 1 | - | 1 |
| სულ | | 99 | 3 | 102 |

**დავით ჰინწურაშვილი**

გაგრძელება იქნება.
დასაწყ. „ლელო" №2-დან

# მეათე

**... არავის არ სძინავს ისე აბნეულად, როგორც რომ ლექსის და ჭადრაკის ოსტატებს (პაოლო იაშვილი)**



1965 წლის ნოემბერი იდგა. მაშინ მე საჩხერის რაიონის სოფელ საირხის საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე ვიყავი. ამ პერიოდში თბილისში, რუსთაველის სახელობის თეატრში მიმდინარეობდა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონატის პრეტენდენტთა ტურნირის ფინალური მატჩი საბჭოთა დიდოსტატებს **მიხეილ ტალსა** და **ბორის სპასკის** შორის. მე, იმ წლის მარტში, რაიონის ჩემპიონობა მოვიპოვე სპორტის ამ სახეობაში (მოსწავლეთა შორის) ვთამაშობდი ჭადრაკს დიდი სიყვარულითა და მონდომებით. გულშევმატკივრობდი ჭადრაკსა და მოჭადრაკეებს დიდი გულისყურითა და ემოციით. გულახდილად ვიტყვი: მთელი ცხოვრება ქალთა შორის **ნონასა** და **ნანას** ვეთაყვანები. მამაკაცთა შორის ჩემი ფავორიტები იყვნენ მიხეილ ტალი და ბორის სპასკი. ასე იყო, არის და იქნება.

მე ამ მატჩში რიგელ დიდოსტატს გულშევმატკივრობდი.

მატჩი უაღრესად საინტერესოდ, დაძაბულად და შემოქმედებითად მიმდინარეობდა. ბორის სპასკი მეტოქეზე ძლიერი აღმოჩნდა. მან მიხეილ ტალი 7:4 დაამარცხა და პრეტენდენტთა ტურნირის გამარჯვებული გახდა.

... 1965 წლის თბილისური ნოემბერი იდგა. უფრო სწორად, კალენდრის ფურცელი 29 ნოემბერს — ორშაბათ დღეს გვაუწყებდა.

ორი დღით ადრე სკოლის დირექტორს განცხადებით მივმართე და ერთი დღით განთავისუფლება ვთხოვე. განვუმარტე, რომ თბილისში პრეტენდენტთა ფინალური მატჩის საზეიმო დახურვას დავესწრები და მაშინვე უკან დავბრუნდები-მეთქი.

სკოლის ხელმძღვანელი, სპორტის დიდი მცოდნე და გულშემატკივარი, აწ გარდაცვლილი ბატონი **ზურაბ კაპანაძე,** მყისიერად მიხვდა ჩემს გულისწადილს და თბილისში წასვლის ოფიციალური ნებართვა მომცა.

იმავე საღამოს, საჩხერე-თბილისის მატარებლის ხალხით გადაჭედილი საერთო ვაგონი თბილისისაკენ მიმაქროლებდა.

საქართველოს ულამაზეს დედაქალაქში პერიფერიებიდან მატარებლები დილაადრიან ჩადიოდნენ და უკან გვიან ღამით ბრუნდებოდნენ. აღნიშნული ფაქტი მეტად ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა, როგორც თბილისში ჩასულებს, ისე იქიდან გამომგზავრებულებს.

... იდგა 1965 წლის 29 ნოემბერი.

... ჰქუხდა, ბობოქრობდა, ზეობდა და მზეობდა თბილისი თავისი ყოველდღიური ცხოვრებით.

... რუსთაველის თეატრში ტევა არ იყო. როდესაც საზეიმო სხდომა დასასრულს მიუახლოვდა, მე კარისკაცისაგან თავაზიანი ნებართვა ავიღე, რვეული და ავტოკალამი მოვიმარჯვე და სცენაზე ავედი.

ყველანი უკვე ფეხზე იდგნენ და ჯგუფ-ჯგუფად საუბრობდნენ. ბორის სპასკის მივუახლოვდი, რვეული და ავტოკალამი გავუწოდე და ავტოგრაფი ვთხოვე.

ბორისმა რვეული გამომართვა, პიჯაკის ჯიბიდან ავტოკალამი ამოიღო და ფურცელზე ხელის მოწერა გააკეთა.

მადლობა გადავუხადე, თან დავძინე:

— გულწრფელად გეტყვით: თქვენ — ორთავე — ჩემი საყვარელი მოჭადრაკეები ბრძანდებით. ამ მატჩში მიხეილ ტალს გულშევმატკივრობდი. ტიგრან პეტროსიანთან მომავალ პაექრობაში თქვენი გულშემატკივარი ვიქნები.

ბორის სპასკიმ ოდნავ გაიღიმა და მადლობა გადამიხადა.

X X X

ბორის სპასკი დაიბადა 1937 წლის 30 იანვარს ლენინგრადში. ჭადრაკის თამაში 5 წლის ასაკში დაიწყო. 10 წლისა უკვე პირველთანრიგოსანი გახდა, 16 წლისა — საერთაშორისო ოსტატი, 19 წლისა — საერთაშორისო დიდოსტატი.

1955 წელს, 18 წლისამ მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა ჭაბუკთა შორის. 1961 და 1973 წლებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო. 11-ჯერ მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში, რომლებშიც 130,5 ქულა დააგროვა 207 შესაძლებლიდან (63 პროცენტი).

მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის შვიდგზის მონაწილეა. ითამაშა 94 პარტია, 45 მოიგო, 48 ფრედ დაამთავრა და მხოლოდ 1 პარტია წააგო (73,4 პროცენტი).

1969-1972 წლებში იყო მსოფლიოს მეათე ჩემპიონი.

1976 წელს იქორწინა ფრანგ ქა

*იხ. მე-3 გვ.*

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი

№38 (52) თებერვალი, 2006 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „კასპი 2006“

## რესპუბლიკური ტურნირი კარატე-დოში, 19 თებერვალი, 2006 წელი

## ქართული კარატეს ეროვნული ნაკრების დაკომპლექტება იწყება

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია 2006 წლის საშეჯიბრო სეზონს კასპში გახსნის რესპუბლიკური ტურნირით – „კასპი 2006“. როგორც კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია აცხადებს, – „კასპი 2006“ წლევანდელი ნაკრების დაკომპლექტებისათვის პირველი იქნება. ჩვენი ძირითადი მიზანი ის არის, რომ ქართულ კარატეში ახალი პერსპექტიული სახეები წარმოვაჩინოთ და მსოფლიო ტატამზე გავიყვანოთ“.

საერთო მონაცემებით ამ ტურნირში საქართველოს ყველა რეგიონის სპორტსმენი იასპარეზებს.




სპონსორები:
კასპის რაიონის ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე კახა სუხაშვილი
კასპის რაიონის გამგეობა
სააქციო საზოგადოება ნატურალური პროდუქციათა კომპანია (გენერალური დირექტორი ვალტერ აბაშიძე)
სააქციო საზოგადოება „კასპის გაზი“ (დირექტორი გიორგი გობრონიძე)
„კასპი ენერგო“ (მთავარი ინჟინერი, გიორგი მერაბიშვილი)

ორგანიზატორები:
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია
საქართველოს სპორტის დეპარტამენტი
კასპის რაიონის გამგეობა
კასპის რაიონის კულტურისა და სპორტის სამსახური
საბრძოლო ხელოვნებათა კლუბი „კასპი“

დებულება
რესპუბლიკური ტურნირი კარატე-დოში „კასპი 2006“
19 თებერვალი, 2006 წელი

ორგანიზატორები:
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია
საქართველოს სპორტის დეპარტამენტი
კასპის რაიონის გამგეობა
კასპის რაიონის კულტურისა და სპორტის სამსახური
საბრძოლო ხელოვნებათა კლუბი „კასპი“

მიზანი და ამოცანები:
ტრადიციული კარატე-დოს განვითარება და პოპულარიზაცია საქართველოში
სპორტსმენთა და მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლება
პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენა და შერჩევა

შეჯიბრის პროგრამა:
ინდივიდუალური და გუნდური შეჯიბრი კუმიტეში გაიმართება ვაჟებსა და გოგონებს შორის WSKF წესებით, შობუ ნიბონ, (4 ქულამდე) შემდეგ ასაკობრივ კატეგორიებში:
კუმიტე ვაჟები: 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17 წლები;
გოგონები: 10 წლამდე და 17 წლამდე;
კუმიტე უფროსები:
აბსოლუტური კატეგორია (6 ქულამდე).

მსაჯობა:
ჩემპიონატზე სამსაჯოდ მოწვეულნი არიან რესპუბლიკური და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები.

დაჯილდოება:
ტურნირში საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებით, დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით.
ტურნირში მონაწილე ფედერაციებმა და კლუბებმა უნდა წარადგინონ განაცხადი საქართველოს კარატე-დოს ეროვნულ ფედერაციაში, უზნაძის ქ. №6 შემდეგი სახით: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, ბუდო-პასპორტი, ექიმის თანხმობა და დაბადების მოწმობა. სხვა შემთხვევაში სპორტსმენი შეჯიბრებაზე არ დაიშვება.
შეჯიბრი ტარდება WSKF-ის წესებით.

შეჯიბრის ჩატარების დრო და ადგილი:
ტურნირი ჩატარდება 2006 წლის 19 თებერვალს ქ. კასპში, სტალინის ქ. №30, (ჭიდაობის ცენტრალური დარბაზი).

**P.S.** ტურნირში მონაწილეობა უფასოა. ხარჯებს გაიღებენ ტურნირის ორგანიზატორები და სპონსორები.





# ალექსანდრე ლუკაშენკო კახა ბასილიას მადლობელია






2-4 თებერვალს, მინსკში, ბელორუსიის სპორტისა და ტურიზმის სამინისტრომ საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი და ამავე დროს აღმოსავლეთ ევროპის შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის შეფინსტრუქტორი შიხანი კახა ბასილია მიიწვია სასწავლო-საატესტაციო საერთაშორისო სემინარების ჩასატარებლად, რის შემდეგაც ქართველმა ოსტატმა გამოცდებიც ჩაიბარა.

სემინარების დამთავრების შემდეგ, ანდრეი ვილკინმა კახა ბასილიას ბელარუსიის პრეზიდენტს ალექსანდრე ლუკაშენკოს მიერ პირადად გამოგზავნილი სამადლობელო წერილი გადასცა. წერილში აღნიშნულია, რომ ალექსანდრე ლუკაშენკო მადლობელია ბელარუსიაში კარატეს განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი უდიდესი წვლილისათვის, რომელიც საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, კახა ბასილიამ შეიტანა. „მადლობელი ვარ ბელარუსიაში კარატეს ასეთ მაღალ დონეზე პოპულარიზაციისთვის, ჩვენი ახალგაზრდობის ჯანსაღ ცხოვრებაში ჩაბმისთვის და მათ მომავალზე ზრუნვისტვის, რაც ჩვენი ქვეყნისთვის ესოდენ საჭიროა. მე ვიცი, თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით ბელარუსიამ არაერთი წარმატება მოიპოვა კარატეს მსოფლიო სარბიელზე. იმედი მაქვს, რომ ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდება და კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მოვიპოვებთ თქვენი დახმარებით.

დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ და ულრმესი პატივისცემა გამოვხატო თქვენი პიროვნებისადმი" – ნათქვამია ბელარუსიის პრეზიდენტის სამადლობელო წერილში.





СВИДЕТЕЛЬСТВО

ВЫДАНО: Кахе Басилия

МИНСК 4-5 ФЕВРАЛЯ 2006

НАСТОЯЩЕЕ СВИДЕТЕЛЬСТВО ПОДТВЕРЖДАЕТ ПРОХОЖДЕНИЕ МЕЖДУНАРОДНОГО (XXVI РЕСПУБЛИКАНСКОГО) ТЕХНИЧЕСКОГО СЕМИНАРА ПО ШОТОКАН КАРАТЭ-ДО

| РУКОВОДИТЕЛЬ | АССИСТЕНТ | АССИСТЕНТ |
|---|---|---|
| Каха БАСИЛИЯ (7 дан, ГРУЗИЯ) | Андрей ВИЛЬКИН (6 дан, БЕЛАРУСЬ) | Светлана ВИЛЬКИНА (6 дан, БЕЛАРУСЬ) |

БНТУ РЭСПУБЛІКА

## კახა ბასილია გერმანიის კინოფესტივალზე მიიწვიეს




საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციისთვის 2006 წელი განსაკუთრებულად დაიწყო. კარატეს პირველი ქართველი ოსტატია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, შიხანი კახა ბასილია, რომელიც ბერლინის კინოფესტივალზე მიიწვიეს როგორც საპატიო სტუმარი. მსოფლიოს ერთერთი უდიდესი კინოფესტივალის დამთავრების შემდეგ, საქართველოს ნომერ პირველი კარატისტი – კახა ბასილია, მონაწილეობას მიიღებს კონფერენციაში, რომელიც ეძღვნება საბრძოლო ხელოვნებათა როლს მსოფლიო კინომატოგრაფიაში.




ნუგზარ ჭიაბერაშვილი, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი

## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

空手道

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს, ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით, ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

მათ, ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6, ტელ/ფაქსი: 96-31-89, www.karate.ge საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი.

მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ

# მეათე

მეორე გვერდიდან

ლიშვილზე, მიიღო ორმაგი მოქალაქეობა და საფრანგეთში დასახლდა.

X X X

1966 წლის გაზაფხულზე მოსკოვში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ მსოფლიოს ჩემპიონი და ჩემპიონობის პრეტენდენტი: **ტიგრან პეტროსიანი** და ბორის სპასკი.

რამდენიმე შესარჩევმა ტურნირმა და მატჩმა გამოფიტა ბორის სპასკი. ტიგრან პეტროსიანი კი საფუძვლიანად მომზადებული შეხვდა მატჩს და მოიგო კიდეც: 12,5:8,5, მოიგო დამსახურებულად.

სწორედ მაშინ, მატჩის დამთავრების შემდეგ, ბორის სპასკიმ თქვა:

— „ვთამაშობდი არასრულყოფილად, ვაკეთებდი გაუმართლებელ ექსპერიმენტებს''.

ბორის სპასკის ფარ-ხმალი არ დაუყრია. მსოფლიოს ჩემპიონობისათვის ბრძოლის ახალ ეტაპს ის ახლებურად და შემოქმედებითად მიუდგა. ხელში აიყვანა თავისი თავი, მოთოკა ნებისყოფა, თითქოს შეცვლილი პროგრამითა და ხასიათით მიუდგა ბრძოლის ახალ ეტაპს. მას კარგად და ღრმად ჰქონდა შეგნებული, რომ მთავარი პრობლემების არსებობა კი არა, არამედ, მთავარია, პრობლემებისადმი მიდგომა და მისი აღმოფხვრა.

ლენინგრადელი დიდოსტატი ასეც მოიქცა.

მისი რწმენა ვერ შეარყია მომავალი სახელოვანი მეტოქეების მაღალმა რეიტინგმა, მის სიმტკიცეს ვერაფერი დააკლეს მრავალ ბრძოლანანახმა და გამობრძმედილმა მოწინააღმდეგეებმა.

ბორის სპასკიმ ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა სამივე კონკურენტი. მეოთხედფინალში — **ეფიმ გელერი**, ნახევარფინალში — **ბენტ ლარსენი**, ფინალში — **ვიქტორ კორჩნოი** და ისე, როგორც 3 წლის წინათ იერიში მიიტანა ტიგრან პეტროსიანზე.

მატჩი მოსკოვში გაიმართა 1969 წლის გაზაფხულზე. სპასკის შეუპოვრობამ, გამბედაობამ, აგრესიულობამ, ფანტაზიის სიმდიდრემ თავისი შედეგი გამოიღო. მან დაამარცხა მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონი და რიგით მეათე მსოფლიოს პირველი მოჭადრაკის სახელი მოიხვეჭა.

სამი წელიწადი ფლობდა ბორის სპასკი მსოფლიოს ჩემპიონის დაფნის გვირგვინს. სამი წელიწადი იჯდა იგი ჭადრაკის მეფის ტახტზე.

მის დიდ დამსახურებად და სასახელოდ უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ იგი მეტად აქტიური, მოქმედი მოთამაშე მსოფლიოს ჩემპიონი იყო. მრავალ საჭადრაკო შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა და ყველგან და ყოველთვის წარმატებები მოიხვეჭა.

1970 წელს მსოფლიო საჭადრაკო სამყაროს ამერიკელი დიდოსტატი **რობერტ ფიშერი** მოევლინა, უფრო სწორად, დიდხანს ჩრდილში მყოფმა, თითქმის დავიწყებულმა რ. ფიშერმა სურვილი გამოთქვა ებრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის.

მან შესანიშნავად განვლო საზონათაშორისო ტურნირი. შემდეგ კი, ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა **მარკ ტაიმანოვი, ბენტ ლარსენი** (დანია) და ტიგრან პეტროსიანი. მ. ტაიმანოვს და ბ. ლარსენს რ. ფიშერმა ერთნაირი მშრალი ანგარიშით — 6:0 მოუგო.

ამერიკელმა დიდოსტატმა მსოფლიოს ჩემპიონთან ბორის სპასკისთან შეხვედრის უფლება მოიპოვა.

დიდი წინასამატჩო მღელვარების, პრეტენზიებისა და მეტოქეთა (უპირველესად რ. ფიშერის) სხვადასხვა მოთხოვნათა მიუხედავად, 1972 წლის ივლისში მატჩი დაიწყო. შეხვედრის ადგილად მეტოქეთა შეთანხმების საფუძველზე, შეირჩა ისლანდიის დედაქალაქი რეიკიავიკი.

პირველი პარტია მსოფლიო ჩემპიონმა მოიგო. მან შესანიშნავად გამოიყენა ამერიკელი დიდოსტატის ყოვლად გაუმართლებელი და უსაფუძვლო შეწირვა (კუ — ორ პაიკში) და პარტია ლოგიკურ შედეგამდე — გამარჯვებამდე მიიყვანა. მეორე პარტიაში სათამაშოდ რ. ფიშერი არ გამოცხადდა. მსოფლიოს ჩემპიონს მოგება ჩაეთვალა — 2:0.

როგორც მოჭადრაკეები და ჭადრაკის სპეციალისტები აღნიშნავენ, ეს იყო ამერიკელი დიდოსტატის ფსიქოლოგიური გამარჯვება; მიაჩნიათ, ფიშერისაგან ნაბოძები „ფორა'' რომ გაქვითულიყო, ბ. სპასკი არ უნდა მისულიყო მესამე პარტიის სათამაშოდ, რის გამოც მას დამარცხება ჩაეთვლებოდა.



... სხვათა შორის, 25 წლის შემდეგ ბორის სპასკიმ ჟურნალ „სპორტ-ექსპრესისათვის'' მიცემულ ინტერვიუში განაცხადა:

— „ჩემი ნერვული სისტემა გამოფიტული აღმოჩნდა. მე დავმარცხდი მატჩამდე... რა კარგად თქვა მიშა ტალმა: „სპასკი ამ მატჩში სპასკი არ იყო''... მეც მომივიდა თავში აზრად, რომ მესამე პარტიის დაწყების წინ ავმდგარიყავი მაგიდიდან და მეთქვა: „ვთმობ პარტიას''. ამ შემთხვევაში მე შევინარჩუნებდი საბრძოლო განწყობას და გამარჯვებისთვის კარგ შანსს. მაგრამ მე სიტყვა მქონდა ნათქვამი, რომ რეიკიავიკში ზეიმზე მივდიოდი. მატჩი კი დაწყებისთანავე დავიდარაბად გადაიქცა''.

ბორის სპასკიმ წააგო შეხვედრა — 12,5:8,5 და დათმო მსოფლიო ჩემპიონის წოდება.

დამარცხების მიუხედავად ბორის სპასკი კვლავ განაგრძობდა საჭადრაკო ტურნირებში მონაწილეობას და არცთუ ურიგოდ. თუმცა, მსოფლიო ჩემპიონის ტახტზე ვეღარ ავიდა, უფრო სწორედ, ვერ მიუახლოვდა. დარჩა მოქმედ, მაგრამ დიდ წარმატებამიუღწეველ მოჭადრაკედ.

X X X

1974 წლის აგვისტოში მან თავისი ოჯახი დატოვა და ცნობილ მსახიობთან და თავის მეგობართან **ანატოლი რომაშინთან** გადასახლდა. იმავე წლის ნოემბერში მან **მარინა შერბაჩევა** — მოსკოვში საფრანგეთის საელჩოს კომერციული სამსახურის თანამშრომელი — გაიცნო. ისინი შენიღბულად ხვდებოდნენ ერთმანეთს. მაგრამ შესაბამისი სამსახურებისათვის მალე ყველაფერი გახდა ცნობილი. მარინას საფრანგეთიდან გაძევებით დაემუქრნენ, ბორისს — საბჭოთა კავშირიდან. მაგრამ ამ პერიოდში ლ. ბრეჟნევმა ჰელსინკში ხელი მოაწერა ადამიანთა უფლებების დაცვის დოკუმენტებს. ამან კი, გადამწყვეტი როლი ითამაშა მათ შეუღლებაში. ახლადშეუღლებულებმა ხელი მოაწერეს და 1976 წელს საფრანგეთში გადასახლდნენ. მიუხედავად ორგზის მოქალაქეობისა, ბორის სპასკის სამშობლოსადმი სიყვარული და თავდადება არ გაფერმკრთალებია. იგი 1984 წლამდე საბჭოთა კავშირის სახელით გამოდიოდა.

ბორისსა და მარინას შეეძინათ ვაჟი — ბორის-ალექსანდრ-ჟორჟი, რომელიც ნათლობის შემდეგ გახდა — ბორისი. დღეს ბორის-უმცროსი 26 წლისაა.

ბორის სპასკი, საკმაოდ შემოსავლიანი მოჭადრაკე გახლდათ როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საფრანგეთში მოღვაწეობისა და ცხოვრების დროს.

მისი ხელფასი, სტიპენდია (როგორც საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრს), ჰონორარები ძალიან მაღალი იყო. რეიკიავიკში დამარცხების მიუხედავად, მან მიიღო საპრიზო ფონდის 32 პროცენტი, ხოლო 68 პროცენტი ფიშერს ხვდა წილად. ეს კი კოლოსალური თანხა — 40 ათასი დოლარი გახლდათ.

მისი პირადი ბიუჯეტი დიდად შეივსო 1992 წელს. იუგოსლავიური ბანკის „იუგოსკანდიკის'' მფლობელმა **ე. ვასილევიჩმა** მიაღწია ბ. სპასკისა და რ. ფიშერთან მოლაპარაკებას და მოაწყო მატჩი მათ შორის. საპრიზო ფონდი ასტრონომიული იყო — 5 მილიონი დოლარი. აქედან 3350 ათასი გამარჯვებულის წილად ითვლებოდა, 1650 ათასი — დამარცხებულისათვის იყო განსაზღვრული. მატჩი იუგოსლავიაში გაიმართა. მეტოქეებმა 30 პარტია გაითამაშეს. გაიმარჯვა რობერტ ფიშერმა. მან 10 პარტია მოიგო, 5 წააგო, 15 შეხვედრაში დაფიქსირდა ყაიმი. ამ თანხამ ბორის სპასკი მდიდარ ადამიანად აქცია. როგორც მან 1997 წელს ჟურნალისტებს განუცხადა, იუგოსლავიაში აღებული ჰონორარით ვალებიც გაისტუმრა და თავისი ახლობლებისათვის ლენინგრადში სამი ბინა იყიდა.

X X X

ბ. სპასკი სიმპათიური სპორტული აღნაგობის მამაკაცია. ყოველთვის იცვამდა მისაღები და მისადაგებული მოდის გამოძახილით. როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვე, კარგად იცვამს ახლაც, მიუხედავად იმისა, რომ სამოცდაათს მიუახლოვდა და წონაშიაც შესამჩნევად მოიმატა (90 კგ). კითხულობდა და კითხულობს ბევრს. საუბრობს დაბალი ხმით (ამაში მეც დავრწმუნდი, რის შესახებაც ოდნავ ქვემოთ მოგახსენებთ), მაგალითებისა და მოვლენების მოშველიებით, ფაქტებზე დაყრდნობით.

X X X

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისში მოსკოვში მივლინებით ყოფნისას შევიტყვე, რომ ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში ბორის სპასკის პრესკონფერენცია იყო დანიშნული (მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, იმხანად უკვე საზღვარგარეთ ცხოვრობდა). სიძნელეთა მიუხედავად, მოვახერხე დარბაზში შესვლა. შეკითხვების რიგითობას მკაცრად იცავდნენ იქვე მოთავსებული მიკროფონების მეშვეობით. როცა ჩემმა რიგმა მოაღწია, ბორის ვასილის ძეს ასეთი კითხვა დავუსვი:

— ვინ არის თქვენი იდეალი სპორტში და ცხოვრებაში?

მე ვიცოდი მისი პასუხი ამ კითხვაზე. ჯერ კიდევ 1969 წელს, როცა მან ტ. პეტროსიანი დაამარცხა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ერთ-ერთი ჟურნალისტის მიერ დასმულ იგივე კითხვაზე ბორის სპასკიმ უპასუხა:

— „ჩემს გულწრფელ პატივისცემას იმსახურებენ ის ადამიანები, რომლებიც უნაკლოდ აკეთებენ თავიანთ საქმეს, ოსტატები, რომლებმაც თავიანთი თავი ბრწყინვალედ გამოამჟღავნეს, როგორებიც არიან ფეხბურთელი **პელე**, ჭიდაობურო **მიშევი** (კიევის კუნძულიდან), მსახიობი **გაბენი**, სწავლული კოსმონავტი **ფეოქტისტოვი**.

ბორის სპასკის აღნიშნული პასუხი ჟურნალისტმა **ალექსი სამოილოვმა** 1969 წლის სექტემბრის ჟურნალ „იუნოსტში'' გამოაქვეყნა, როცა მსოფლიოს ჩემპიონზე შესანიშნავი ნარკვევი — „გზა საკუთარი თავისაკენ'' — დაწერა.

თხუთმეტიოდე წლის შემდეგ მე ზუსტად იგივე კითხვა დავუსვი მას.

მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა მისთვის დამახასიათებელი დამაჯერებლობითა და ინტონაციით სიტყვასიტყვით გაიმეორა ზემოთ მოყვანილი პასუხი.

მე გავვოცდი. ბორის სპასკი წლების შემდეგ თავისი მსოფლმხედველობისა და საკუთარი კრედოს ერთგული დარჩა.

... ასეთია იგი — ბორის სპასკი, მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი.

... მეათე.

**ნუგზარ მჭედლიშვილი,**
**ქუთაისი.**

## ვაზუსტებთ

**„ლელოს" წინა ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „კვარტეტი", გაიპარა დედანში დაშვებული უზუსტობა. მეორე სვეტში ანგარიში სსრკ — იუგოსლავია უნდა იკითხებოდეს 2-1**

# ფეხბურთი და ეგზოტიკა




დრო გადის და ფეხბურთი სულ უფრო ორიგინალური, ტოტალური და რაც ყველაზე საგულისხმოა, ეგზოტიკური ხდება. იცით, რომ ფეხბურთის სამშობლოდ ინგლისი ითვლება და ბრიტანული კონსერვატიული მენტალიტეტის თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო, სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა დასაბამიდან რესპექტაბელური ხასიათის იყო. უფრო სწორედ ასეთი იმიჯის იყვნენ თავად ფეხბურთელები, მით უფრო, მაღალი დონის შემსრულებლები. ფეხბურთის სახეს კი სწორედ მეგავარსკვლავები წარმოადგენენ. მაგალითისთვის: პუშკაშის, დი სტეფანოს, იაშინის, დიდის, ჩარლტონის, ძოფის, კრუიფის, ბეკენბაუერის, სოკრატესის და ბევრი გამოჩენილი მოთამაშის ჩამოთვლაც კმარა. ზემოაღნიშნული ტენდენციები კი გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს გააქტუალურდა და დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა. ფეხბურთმაც, სათამაშო სტილთან ერთად, იდეური შინაარსიც შეიცვალა — განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მოედნებზე გამოჩნდა დარბაისლური, ტრადიციული გამომეტყველების ანტიპოდი ფეხბურთელი **რუუდ გულიტი** თავისი ორიგინალური ჩრდილო-სამხრეთ ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი **ბობ მარლისეული** ვარცხნილობით. მას შემდეგ, რაც კამერუნელმა **როჟე მილამ** გოლების გატანის შემდგომ ნაირ-ნაირი საცეკვაო ჟესტიკულაციის გამოსახვა დაიწყო; მას შემდეგ, რაც კოლუმბიელმა მეკარემ **რენე იგიტამ** ინგლისის ნაკრების ფეხბურთელს **ჯეიმს რედნაპს** დაახლოებით ოცდაათი მეტრიდან დარტყმული ბურთი ჰაერში ამხტარმა უკნიდან ფეხის ტერფებით შორს მოუგერია და „უემბლის'' სტადიონზე შეკრებილი პუბლიკა გაოცებული დატოვა; მას შემდეგ, რაც მეკარეებმაც გამოავლინეს ბომბარდირული თვისებები; მას შემდეგ, რაც **ლორან ბლანმა ფაბიენ ბარტეზს** თამაშის დაწყების წინ თავზე კოცნა დაუწყო, **ფრანკ რაიკაარდმა** კი **რუდი ფიოლერს** სახეში შეაფურთხა, — ფეხბურთმა რესპექტაბელური იერი დაკარგა და სულ სხვა განზომილებაში



გადაინაცვლა. მე თუ მკითხავთ, გარკვეულ ჩარჩოებში მოქცეულ მოქმედებებს მირჩევნია მოედანზე სრულიად თავისუფალი, როგორც სათამაშო, ისე სხვა ნიუანსების მრავალფეროვნება და იმპროვიზაცია (რა თქმა უნდა, შეფურთხებას არ ვგულისხმობ) ვიხილო, თუნდაც იმიტომ, რომ ხშირად ხდება ფეხბურთისა და ხელოვნების შედარება. ხელოვნებამდე დაყვანილ მაღალი დონის თამაშებს კი არაორდინარულობა, ოღონდ მაღალი დონის შესრულებით, მეტ ეფექტსა და თვალსაჩინოებას სძენს.

რაც შეეხება ძველი და ახალი დროების ფეხბურთს, წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით თუ შევადარებთ, უპირველესად შევამჩნევთ, რომ თუნდაც სამოციანი-სამოცდაათიანი წლების ფეხბურთი ესთეტიკურად უფრო დახვეწილი იყო. შემდეგ, დროთა განმავლობაში, გუნდების ტაქტიკური მხარე უფრო დაიხვეწა, მეტი ყურადღება დაეთმო დაცვითი რგოლის გაძლიერებას, აგრეთვე ფიზიკური კონდიციების ამაღლებას და პრესინგს. ადრე, ესა თუ ის სათამაშო სტილი, მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, რადგანაც გუნდები ძირითადად ორიენტირებულნი იყვნენ იმაზე, რაც ხასიათში უხვად ჰქონდათ გამჯდარი. მაგალითად, ბრაზილია მუდამ ვირტუოზულ ტექნიკაზე და შემტევ ფეხბურთზე აკეთებდა აქცენტს, ხოლო გერმანია ბრძოლისუნარიანობით, კარგი ფიზიკური მომზადებითა და დისციპლინით გადიოდა ფონს. ახლა კი, მწვრთნელები ცდილობენ ტექნიკის, ტაქტიკის და ფიზიკური მომზადების თანაბარი შერწყმით მიიღონ მაქსიმალურად ტოტალური გუნდი, რაც დღესდღეობით მოედანზე მიზნის მიღწევის ერთ-ერთ უმთავრეს გარანტიად ითვლება. რა თქმა უნდა, ეს ყველას ერთნაირი წარმატებით არ გამოსდის, მაგრამ გაცვეთილი ფრაზა „ფეხბურთის თამაში ყველამ ისწავლა'', იმაზე მიუთითებს, რომ დღეს ძლიერი და ანგარიშგასაწევი კლუბი თუ ნაკრები ბევრად მეტია, ვიდრე ეს იყო თხუთმეტი-ოცი წლის წინათ. ეს დიდი კონკურენცია ფეხბურთში სწორედ ამ თვისებათა დაბალანსებით წარმოიქმნა და ლეგენდარული მწვრთნელის **რინუს მიხელსის** მიერ შექმნილი ტოტალური ფეხბურთი, რომელსაც ადრე მხოლოდ ჰოლანდიელები თამაშობდნენ, ისე განვითარდა, უკვე საკმაოდ ხშირად, გოლები „გოლკიპერებს'' გააქვთ, არც თუ იშვიათად კი, ბურთი კარიდან „ფორვარდებს'' გამოაქვთ.

საერთოდ, ყველაფერი განსხვავებული, ახალი და უჩვეულო მოვლენა, ეგზოტიკურია. თავის დროზე ფეხბურთის გაორიგინალება და მიხელსის მიერ შექმნილი ტოტალური სტილიც, რაღაც დოზით ეგზოტიკური იყო. ოთხმოციანი წლების მიწურულიდან მოყოლებული, როდესაც ფეხბურთმა ფინანსურ, სატრანსფერო, სათამაშო და სხვა ასპექტებში მთელი რიგი რევოლუციური ცვლილებები განიცადა. ეს გლობალური გარდაქმნები ფეხბურთელთა ვიზუალურ მხარეზეც აისახა. მოდური გახდა ორიგინალური, ეგზოტიკური გარეგნობა, რაც რუუდ გულიტის „თამადობით'' სურინამული წარმოშობის ფეხბურთელთა მდიდარი ფანტაზიით და ჩიკაგოელი კალათბურთელის **დენის როდმანის** გავლენით მოხდა. როდმანი ხომ ყოველ თამაშზე სხვადასხვა ფერით შეღებილი თმებით გადიოდა, მთელი სხეული კი მოსვირინგებული ჰქონდა. დღეისთვის კი თანამედროვე ფეხბურთში გულიტისეული ვარცხნილობები, გადაპარსული თავები, სხვა ფერით შეღებილი თმები და წვერები, სვირინგები და საყურეები... ისე მომრავლდა, ფეხბურთმა ვიზუალურად ეგზოტიკური იერი შეიძინა. ეგ კი არა, ფიფაც ყოვლისმომცველ „ეგზოტიკურ'' პოლიტიკას ატარებს. ფეხბურთის უმაღლესი ორგანო, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატებს ყოველთვის ევროპისა და ამერიკის კონტინენტზე ატარებდა, ტრადიცია დაარღვია და უკანასკნელად გამართულ მონდიალს აზიის ორმა ეგზოტიკურმა ქვეყანამ — სამხრეთ კორეამ და იაპონიამ უმასპინძლა. მეტიც, 2010 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი თვით აფრიკის კონტინენტზე — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გაიმართება. ასე რომ, „ფეხბურთი და ეგზოტიკა'' უკვე განუყოფელი ცნებებია.

**ტატო კინწურაშვილი**



# «დინამომ» მოიგო

კვიპროსზე თბილისის „დინამომ“ მორიგი საკონტროლო მატჩი რუმინულ „პანდურთან“ გამართა და 2-0 მოიგო.

**ჩერნიშოვმა** ვლახთა წინააღმდეგ ორი შემადგენლობა ათამაშა. გოლები პირველ ტაიმში **მერებაშვილმა** და **ბობოხიძემ** გაიტანეს. პირველ ტაიმში დინამოელთა შემადგენლობა ასეთი იყო: ლორია, უ. ლობჟანიძე, ქემოკლიძე, გიგაური, ნავალოვსკი, ლ. ნოზაძე, ვიეირა, კ. მახარაძე, გ. მერებაშვილი, დვალი, ბობოხიძე. მეორე ტაიმში მინდორზე გავიდნენ: გ. კაშია, ორბელაძე, თომაშვილი, აკობია, ა. კალაძე, ჩირიკაშვილი, კვიტაიშვილი, ს. იაშვილი. მომდევნო მატჩს თბილისელები შაბათს, 11 თებერვალს გამართავენ.

# გაბელიამ ერთი დაიტოვა

მეორე წრეში, თითქმის გადახალისებულ ბათუმის „დინამოში“, მხოლოდ ერთი ბრაზილიელი **ტიაგო** ითამაშებს. მან რამდენიმე საწვრთნელ მატჩში გოლებიც გაიტანა და მწვრთნელსაც თავი მოაწონა. მეორე ბრაზილიელი **და სილვა** სამშობლოში დაბრუნდება. **ოთარ გაბელიას** გაწყობილი ზღვისპირული გუნდი კიდევ ორ საწვრთნელ მატჩს გამართავს. ხვალ — „კოლხეთთან“, ორშაბათს — „მერანთან“.

# ბორჯომელ არგენტინელებს სოხუმელები ნახავენ

ბორჯომელებს ორი არგენტინელი ფეხბურთელი ჩამოუვიდა. 21 წლის **გონსალო მარტინ დე პორასი** „როსარიო სენტრალში“ მეორე გუნდში თამაშობდა და „ბორჯომშიც“ მეტოქეთა კარს შეუტევს. 25 წლის **დარიო სებალე** გამთამაშებელია, იგი ადრე მეორე ლიგის „დეპორტივო ესპანიოლში“ თამაშობდა. შაბათს, 11 თებერვალს, „ბორჯომი“ სოხუმის „დინამოს“ ეთამაშება და სწორედ ამ საწვრთნელ მატჩში მოირგებენ არგენტინელები პირველად ბორჯომელთა მაისურს.

# უამინდობის მიზეზით

**დიდთოვლობამ და ყინვებმა, რამდენიმე ჩვენებურ გუნდს დავთარი აურია და სეზონისთვის მზადებაში ხელი შეუშალა.** თელავის „კახეთი“ მზადებას შინ აპირებდა, მაგრამ გუნდი უამინდობას გამოექცა და თბილისში დაიდო ბინა. დედაქალაქში თელაველები ათი დღე დარჩებიან და რამდენიმე საკონტროლო მატჩს გამართავენ. შარშანდელი შემადგენლობიდან, მხოლოდ ორი ფეხბურთელი **ნადირაშვილი** და **სიხარულიძე** წავიდა. დანარჩენები ადგილობრივი ფეხბურთელები არიან და სეზონისთვის ჩვეულებრივად ემზადებიან. ახალწვეულებიდან თელაველები მეკარეებს **ცინაძეს** და **კოდალაევს** აკვირდებიან. ისინჯებიან ყოფილი ქუთაისელები **გიორგობიანი** და **მაღლაკელიძე**, ასევე **ხუციშვილი**. „კახეთი“ ოთხი დღის წინ „დინამოს“ მეორე გუნდს ორი შემადგენლობით გაეჯიბრა და 0-1 დამარცხდა. თელაველები კიდევ სამი საკონტროლო მატჩის გამართვას აპირებენ, 11, 13 და 15 თებერვალს.

უამინდობამ მზადების გრაფიკი აუქრა თბილისის „ვიტ ჯორჯიასაც“. ჩემპიონატის ლიდერი არმიის სპორტულ კლუბში ტრენაჟორებზე ვარჯიშობდა. ახლა კი, როცა შედარებით გამოიდარა, გუნდს ბურთთან ვარჯიშის საშუალება მიეცა და რამდენიმე საკონტროლო მატჩის გამართვაც დაიგეგმა.

# ამერული შტურმი

**ანტალიაში შეკრებაზე მყოფმა თბილისის „ამერმა“ მეოთხე საკონტროლო მატჩი გამართა და ავსტრიულ „შტურმს“ 4-1 მოუგო.**

ქართველებს მეტოქე ძირითადად მეორე გუნდით დაუპირისპირდა, არ უთამაშია დავით მუჯირსაც. „ამერმა“ თავისი უპირატესობა **დოლიძის, სევასტოპულოს, დეკანოსიძის** და **ღუჭაშვილის** გოლებით დაამტკიცა. ავსტრიელთა ერთადერთი გოლიც ჩვენებურის ანგარიშზეა. **ჩიკვილაძემ** ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. „ამერის“ შემადგენლობა ასეთი იყო: ნადირაშვილი, დავითნიძე (ბერიანიძე), ჩიკვილაძე, ხვადაგიანი (გარუჩავა), გ. კვახაძე (ცედელაშვილი), დეკანოსიძე (ტატანაშვილი), ბოლქვაძე (დობროვოლსკი), დოლიძე (სილაგავა), კოშკაძე (ნიკოლაიშვილი), ს. დავითაშვილი (ღუჭაშვილი), სევასტოპულო (კაიდარაშვილი).

„ამერი“ უკვე თბილისშია და მზადებას შინაურ ბაზაზე გააგრძელებს.

# ზესტაფონმა ენერგია არ დაზოგა

კვიპროსში მყოფმა „ზესტაფონმა“ მეორე ამხანაგურ მატჩში ვეტერანი იონანიძის გოლით, რუსული „ლუჩ-ენერგია“ დაამარცხა. ქართული გუნდის შემადგენლობა ასეთი იყო: ჰანტურია, შ. ღონღაძე, ს. თოდუა, კ. ჩხეტიანი, ძამსაშვილი, ბ. ნოზაძე, ნუდნი (პანოვი), თურმანიძე (გორგიაშვილი), ფიფია, იმედაძე, იონანიძე (გიორგაძე). ზესტაფონელები კვიპროსზე კიდევ ორ მატჩს გამართავენ.

# „ქარიშხალა“ პრივატიზაციის ქარს მიაქვს

სპორტული კომპლექსი „ქარიშხალა“ საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ გასაყიდ ობიექტთა სიაში მოახვედრა და ტენდერზე გაიტანა. აუქციონი 23 თებერვალს შედგება. სპორტული ობიექტის საწყისი ფასი 2,5 მილიონი დოლარია. აღნიშნულ ფაქტს კომპლექსის დირექციის და თანამშრომელთა სათანადო რეაქცია და პრესკონფერენცია მოჰყვა.

**კახა დევდარიანი** („ქარიშხალას“ დირექტორი, ფუტსალის ასოციაციის პრეზიდენტი) — „ამ კომპლექსით მრავალი ხალხი სარგებლობს, ყოველდღე ათასამდე ბავშვი ვარჯიშობს ჩვენთან, თან, მინიმალურ საფასურად. მაშინ, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი, პარლამენტი და ხელისუფლებისა თუ მთავრობის წარმომადგენლები სპორტის აყვავებაზე ლაპარაკობენ, წარმოუდგენელია ამ კომპლექსის გაყიდვა. ჩვენ თითქმის, გაპარტახებული შენობა ჩავიბარეთ, შევაკეთეთ, შევალამაზეთ და ახლა ყიდიან ობიექტს? სკამს არ ვეპოტინები, მაგრამ შენობის დასაცავად ბოლომდე ვიბრძოლებ. თუ „ქარიშხალა“ გაიყიდა, ქართულ ფუტსალსაც დიდი დღე არ უწერია“.

ფუტსალის ასოციაციას თანადგომა გამოუცხადა ფეხბურთის ფედერაციამ და პროფლიგამ, გუშინ კი აქციაც ჩატარდა, დევიზით — „ქარიშხალას“ აუქციონს გვერდი უნდა ავუქციოთ“. კომპლექსის მესვეურნი საქართველოს პრეზიდენტისგან და მთავრობისგან თანადგომას და შველას ითხოვენ.

## პრეს-რელიზი

ჩვენ სპორტის სიყვარულით გაჟღენთილი ხალხი ვართ. ათასობით მოზარდი ეუფლება აქ სპორტის ანბანს... მთელი წელიწადი მიმდინარეობს ჩემპიონატები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, გვყავს უამრავი მსოფლიოს და ევროპის მოქმედი ჩემპიონი. საკუთარი ხელებით ავაშენეთ ფეხბურთის მოედანი, სადაც საქართველოს მორაგბეთა ახალგაზრდული ნაკრები ემზადება.

დღეს სპორტული კომპლექსი „ქარიშხალა“ საზოგადოებისთვის ერთადერთი ხელმისაწვდომი ობიექტია. „ბურევესტნიკა“ თუ „ქარიშხალა“, რაც არის, ვისიც იყო და იქნება, ჩვენ ეგ კი არ გვაღელვებს, ჩვენ უფრო ის გვკლავს გულს, რომ თქვენს, იგივე ჩვენს შვილებს არ ექნებათ საშუალება, ისარგებლონ იმ სპორტული კომპლექსით, რომელმაც მრავალი თაობის ჩამოყალიბებაში მიიღო მონაწილეობა.

ძნელად დასაჯერებელია, რომ კანონი სპორტის შესახებ არა აქვთ წაკითხული მათ, ვისაც ეს თანამდებობრივად ევალებათ.

დაუშვებელია:

1) სპორტული ობიექტების ლიკვიდაცია ან პროფილის შეცვლა სანაცვლო ან ტოლფასი ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემამდე (01.07.2004 №310).

2). საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აკონტროლებს სახელმწიფო სპორტულ ნაგებობათა მიზნობრივად გამოყენებას (01.07.2004 №310).

3) საქართველოს სახელმწიფო სპორტულ ბაზებზე ვარჯიშის უპირატესი უფლება ეძლევათ საქართველოს ეროვნულ ნაკრებ გუნდებს...

P.S. როცა საქართველოს ტერიტორიების 30 პროცენტი აქვს დასაბრუნებელი და არნახული მასშტაბით მძვინვარებს ნარკომანია, კერძოდ, დაუდგენელი ვინაობის მილიონერებს კი არ უნდა გადავცეთ ამ ტიპის ობიექტები, პირიქით, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს სპორტული ბაზების გადარჩენისთვის.

უმორჩილესად გთხოვთ:

შეიქმნას სპეციალური საპარლამენტო ან საზოგადოებრივი კომისია, რომელიც საფუძვლიანად შეისწავლის ამ საკითხს და დაგვისაბუთებს, რა აუცილებლობას წარმოადგენს „ქარიშხალას“ გასხვისება, როცა სპორტული კომპლექსი არ არის სახელმწიფო დოტაციაზე და თავის თავს თვითონ ინახავს. საკითხავია, სააუქციონო ფორმით უპირობოდ გასხვისება რამდენად წაადგება აქ მოვარჯიშე მოქალაქეებს თუ სპორტსმენებს. ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ ის კერძო, ინკოგნიტო პიროვნება თავგადაკლულად იზრუნებს საქართველოს მომავლისთვის?

სპორტკომპლექსი „ქარიშხალა“.

# ახალგაზრდულ ნაკრებთა ამხანაგური მატჩები

**7 თებერვალი. თბილისი. სტადიონი ოლიმპი. 2000 მაყურებელი.**

**საქართველო – აზერბაიჯანი 1-1**

**საქართველო:** თევდორაძე, მჭედლიშვილი (სეთურიძე, 46), გვაძაბია, ხიდეშელი, ელბაქიძე (გ. ნუგზარის ძე ჭელიძე, 46), განუგრავა (დაუშვილი, 78), ბენაშვილი, ბჟალავა (ყიფიანი, 78), გ. ფოფხაძე, გელაშვილი (წინამძღვრიშვილი, 68), გოცირიძე.

**აზერბაიჯანი:** აგაევი, ისკანდეროვი, იუნიშოღლი, იუსიპოვი, მამედოვი (მადატოვი, 77), გასიმოვი (ჰასანოვი, 84), აგაკიშიევი (დაშდამიროვი, 74), ზეინალოვი (აგირზადე, 74), ნადიროვი (ალიევი, 8,), ყურბანოვი (ადიშირინოვი, 62), ჰუსეინოვი (სოლტანოვი, 77).

**გოლები:** 0-1 ყურბანოვი (45), 1-1 ბენაშვილი (70).

**გააფრთხილეს:** გელაშვილი (37), გასიმოვი (60), განუგრავა (62).

**გააძევეს:** გასიმოვი (62).

**მსაჯები:** გ. ვადაჭკორია, ზ. ჩიგოგიძე, ზ. ჯვარიძე (ყველა — საქართველო).



ქართულ-აზერბაიჯანულ ახალგაზრდულ ნაკრებთა პირველ ამხანაგურ მატჩში ფრე აღინიშნა. **კობა ჟორჟიკაშვილის** ნაკრები მიზეზთა გამო ოპტიმალური შემადგენლობით არ იყო დაკომპლექტებული. გრძელდება ძირითადად ჭაბუკთა ნაკრების წრთობა უფროსებთან ჭიდილში. მთელი მატჩის განმავლობაში ტერიტორიულ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ უგერგილო, უკბილო შეტევებით სტუმართა კართან სახიფათოს და დასამახსოვრებელს ვერაფერს ქმნიდნენ. აზერბაიჯანელები უმთავრესად დაცვაზე ფიქრობდნენ. საკმაოდ კარგადაც იცავდნენ თავს და მხოლოდ თავიანთი გამორჩეული ფორვარდის ყურბანოვის ოსტატობაზე იყვნენ დამოკიდებულნი. მანაც თანამემამულეებს იმედი არ გაუცრუა.

პირველი ტაიმის მიწურულს ყურბანოვმა საჯარიმო მოინადირა, რომელიც თვითონვე უნაკლოდ შეასრულა და თავისიანები დააწინაურა.

მეორე ტაიმში განხორციელებულმა შეცვლებმა მასპინძელთა ნაკრები მეტნაკლებად დაალაგა, მაგრამ გასატანი ისევ სტუმრებს ჰქონდათ. **ნადიროვი** პირისპირ დარჩა **თევდორაძესთან,** მაგრამ საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. მერე მასპინძელთა ჯერი დადგა. ქართველებმა ტემპს მოუმატეს და ერთი-ორი შეტევის შემდეგ გოლიც გაიტანეს. ანგარიში ჭაბუკმა **ბენაშვილმა** ზუსტი დარტყმით გაათანაბრა. დარჩენილ ოც წუთში მასპინძლები ისევ უტევდნენ, სტუმრები დაცვაში კი მაგრად იდგნენ და ანგარიშიც აღარ შეცვლილა. მეზობლების ახალგაზრდულ ნაკრებთა მეორე მატჩი, ისევ „ოლიმპის“ სტადიონზე გუშინ, შედგა...

# მეორედ იყო ფრიადი

**9 თებერვალი. თბილისი. სტადიონი „ოლიმპი“. 2000 მაყურებელი.**

**საქართველო – აზერბაიჯანი 5-0**

**საქართველო:** თევდორაძე (ალავიძე, 46), ფოფხაძე, ხიდეშელი, სეთურიძე, ხუმარაშვილი (მჭედლიშვილი, 46), ბენაშვილი, განუგრავა (ყიფიანი, 87), ძარია (წულაძე, 35), გ. ჭელიძე (ბჟალავა, 46), გოცირიძე (გელაშვილი, 72), წინამძღვრიშვილი.

**აზერბაიჯანი:** კირიმი (აგაევი, 46), ისკანდეროვი (ე. ალიევი, 44), იუნისოღლი, იუსიპოვი, კასუმოვი, ე. მამედოვი (ტაშტამიროვი, 46), მადატოვი, აგაკიშიევი (სულთანოვი, 72), ახტიამოვი (გუსეინოვი, 46), ნადიროვი, ყურბანოვი.

**გოლები:** 1-0 გოცირიძე (10), 2-0 ჭელიძე (28), 3-0 გოცირიძე (38), 4-0 გელაშვილი (80), 5-0 წინამძღვრიშვილი (84).

**გააფრთხილეს:** იუნისოღლუ (5), ხუმარაშვილი (25), ყურბანოვი (36), გუსეინოვი (52), აგაევი (85).

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია, ლ. მიქელაძე, ზ. მენთეშაშვილი (ყველა — საქართველო).

ახალგაზრდული ნაკრები გუნდების გუშინდელი მეორე მატჩი, პირველისგან მკვეთრად განსხვავდებოდა. მასპინძლები სრულ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ, რაც საბოლოო ანგარიშშიც ნათლად აისახა. ქართველები გაცილებით მწყობრად თამაშობდნენ. **გიორგი ჭელიძის, ბექა გოცირიძის** და **რატი წინამძღვრიშვილის** გააზრებულმა თამაშმა დადებითი შედეგი მატჩის დასაწყისშივე მოიტანა. პირველ სახიფათო საჯარიმო დარტყმას, მეათე წუთზე, გოცირიძის პირველი გოლი მოჰყვა. სტუმრებმა სულ მცირე ხნით გაიბრძოლეს, 26-ე წუთზე აგაკიშიევ-ნადიროვის სახიფათო კომბინაციაც გათამაშდა, მაგრამ აზერბაიჯანელმა ფორვარდმა ახლო მანძილიდან ბურთი თითქმის დაუცველ კარს ააცილა და ხელსაყრელი მომენტი თოვლს და ქარს გაატანა.

სამაგიეროდ, მასპინძლებმა გამოიყენეს გოლის გატანის თითქმის ყველა შესაძლებლობა. მეორე და მესამე გოლები ჩვენი ფეხბურთელების ოსტატობის შედეგი იყო. ჯერ ჭელიძემ ივარგა, მერე კი გოცირიძემ დააგვირგვინა მასპინძელთა შეტევა. მატჩის ბედი, ფაქტობრივად, პირველ ტაიმში გადაწყდა. მეორე ნახევარში თითქმის არაფერი შეცვლილა. ჩვენებურების დიდი უპირატესობა ლოგიკურ დასასრულამდე **გელაშვილმა** და **წინამძღვრიშვილმა** კიდევ ორი გოლით მიიყვანეს. სათამაშო სქემაში შეტანილმა ცვლილებებმა, მასპინძელთა გააზრებულმა თამაშმა, ამჯერად გაამართლა და **კობა ჟორჟიკაშვილის** შეგირდებმა ფრიადი ალალად დაიმსახურეს.

# გავექცეთ გაჭირვებას ანუ სამწუხარო რეალობა

**ეროვნული პირველობის პირველ წრეში შიდა ქართლის რეგიონებიდან ჩემპიონატში ორი გუნდი ასპარეზობდა, „ცხინვალი“ და გორის „დილა“.** ახლა კი შეიძლება ისე მოხდეს, პირველობა ორივემ მიატოვოს. გუნდები დაშლის პირას არიან მისულნი. ფაქტობრივად, უპატრონოდ მიტოვებულ კლუბებში აღარავინაა. „ცხინვალში“ მხოლოდ ოთხი ფეხბურთელი, „დილაში“ კი ხუთი ვარჯიშობს. ასეთ მდგომარეობაში, რა თქმა უნდა, ჩაშლილია საწვრთნელი პროცესი. მიმხედავი კი არავინაა. ცხინვალელთა გუნდის უფროსი **ზურაბ ნასუაშვილი** საქართველოს პრემიერ-მინისტრის **ზურაბ ნოღაიდელის** და სახელმწიფო მინისტრის **გიორგი ხაინდრავას** გადაწყვეტილებებს ელის. ეროვნული პირველობის განახლებამდე ბევრი დრო არ რჩება, ვითარება კი ჯერაც უცვლელია. „დილას“ მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ ხაჩიძე** გუნდის გასაჭირზე მხოლოდ შიდა ქართლის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს **გიორგი რევაზიშვილს** ესაუბრა, რომელმაც დახმარება აღუთქვა. თუმცა, დღესდღეობით ორივე გუნდში მდგომარეობა სავალალოა, ქმედითი ღონისძიებების დაგვიანების შემთხვევაში, კლუბები დაიშლებიან, მათი ლიკვიდაციაც ოფიციალურად გამოცხადდება. დღეს, ასეთია სამწუხარო რეალობა.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ფოტოჟურნალისტს ელდარ მალხაზიშვილს დის გარდაცვალების გამო.**

# საქართველოს ჩემპიონატი ფუტსალში



ფოტო რობერტ ბაგოიანისა

**XXIII ტური**

ბერმუხა — ცენტრპოინტი 6-9
ქართლი — აჭარა 6-10
სოხუმი — იბერია 1-9
საბურთალო — ნიკორა 4-6

**XXIV ტური**

იმედი — საბურთალო 2-10
სოხუმი — ბერმუხა 5-12
ცენტრპოინტი — აჭარა 16-4
იბერია — ნიკორა 2-0

**XXV ტური**

ბერმუხა — იმედი 8-3
ქართლი — სოხუმი 5-5
ნიკორა — ცენტრპოინტი 3-8
იბერია — საბურთალო 6-5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცენტრპოინტი | 24 | 21 | 1 | 2 | 218-97 | 64 |
| იბერია | 24 | 19 | 2 | 3 | 147-79 | 59 |
| ნიკორა | 24 | 17 | 0 | 7 | 129-96 | 51 |
| საბურთალო | 24 | 15 | 4 | 5 | 192-199 | 49 |
| ბერმუხა | 24 | 11 | 2 | 11 | 142-142 | 35 |
| აჭარა | 24 | 9 | 1 | 14 | 133-169 | 28 |
| იმედი | 24 | 5 | 1 | 18 | 103-157 | 16 |
| ქართლი | 24 | 3 | 3 | 18 | 106-181 | 12 |
| სოხუმი | 24 | 0 | 2 | 22 | 114-235 | 2 |

„ქართული ფეხბურთის“ რედაქტორი
მიხეილ საბახტარიშვილი

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები



# სვენ-გორან ერიქსონი: «მსოფლიო ჩემპიონატის მოგება შეგვიძლია»

*ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრები მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია. გუნდი მონდომებით ემზადება მთავარი მწვრთნელის სვენ-გორან ერიქსონის ხელმძღვანელობით, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებისთანავე ტოვებს თავის პოსტს. გთავაზობთ სვენ-გორან ერიქსონის მიერ „სპორტისათვის" მიცემულ ინტერვიუს.*

◆ ***მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრებმა მიაღწია მეოთხედფინალამდე.***

— იაპონიიდან შინ დაბრუნების შემდეგ ყველაფერი გავაანალიზეთ. ერთი რამ დავასკვენი — ფეხბურთელები მსოფლიო ჩემპიონატზე დაღლილები არ უნდა ჩავიდნენ. აუცილებელია მინიმუმ ოთხკვირიანი შესვენება ასეთი მნიშვნელოვანი ტურნირის წინ. ამიტომაც არის, რომ ინგლისის პრემიერლიგის წლევანდელი გათამაშება ჩვეულებრივზე ადრე დასრულდება.

◆ ***რით გამოიხატება ასეთი პაუზის აუცილებლობა?***

— ოთხკვირიანი შესვენების პირველ კვირას ფეხბურთელებს შვებულებაში გავუშვებ, რათა გონებრივად დაისვენონ გადამღლელი სეზონის შემდეგ. მეორე კვირაში კი უკვე მსოფლიო ჩემპიონატისათვის გავაგრძელებთ მზადებას.

◆ ***რა არის ინგლისის ნაკრების მთავარი კოზირი?***

— გამოცდილება. ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში არ არიან ასაკოვანი მოთამაშეები. ყველაზე „ბებრები" სოლ კემპბელი და დევიდ ბექჰემი არიან. ფეხბურთელთა ოსტატობაშიც საქმე კარგად გვაქვს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ შარშან ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, პირველ ათეულში სამი ინგლისელი ფეხბურთელი მოხვდა. ეს ძალზე იშვიათად ხდება ხოლმე.

◆ ***როგორ აფასებთ კენჭისყრის შედეგებს?***

— ჩვენს ჯგუფში მოხვდნენ შვედეთის, ტრინიდადისა და პარაგვაის გუნდები. წინა ჩემპიონატზე მეტოქეებად იგივე შვედები, ნიგერიელები და არგენტინელები იყვნენ. წელს, ერთი შეხედვით თითქოს იოლად გვაქვს საქმე, მაგრამ...

ჯგუფში ყოველ შეხვედრას სერიოზულად უნდა მივუდგეთ. ყველა მეტოქე ჩვენს წინააღმდეგ მონდომებით იბრძოლებს.

◆ ***თქვენ კვლავ 4-4-2 სათამაშო სქემის ერთგული ბრძანდებით...***

— ასეთი სქემა უფრო უპრიანია ჩვენი გუნდისათვის. გარდა ამისა, ჩემს შეგირდთაგან უმრავლესობა თავიანთ კლუბებშიც სწორედ ანალოგიური ტაქტიკით თამაშობს.

◆ ***რა უპირატესობა აქვს 4-4-2 სისტემას?***

— თუ ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება გსურს, საიმედო დაცვა უნდა გყავდეს. სწორედ საამისოდაა გამოსაყენებლად ძალიან კარგი 4-4-2 სქემა. ასეთი ტაქტიკით როცა ეთამაშები ძლიერ გუნდს, მას შეტევებში ფართო მოქმედების საშუალებას არ აძლევ. თუ არგენტინელებს, ბრაზილიელებს და გერმანელებს თავიანთ ნებაზე თამაშის უფლებას მივცემთ, ყველაფერი დაკარგული იქნება.

◆ ***ასეთი სქემა ცხოვრებაში არასდროს შეგიცვლიათ?***

— არა. როცა შვედეთში ვმუშაობდი, მივხვდი, რომ 4-4-2 სისტემა საუკეთესო ვარიანტია წარმატების მისაღწევად.

◆ ***თქვენი ნება რომ იყოს, რას შეცვლიდით თანამედროვე ფეხბურთის წესებში?***

— პირველ რიგში ტაიმ-აუტებს შემოვიღებდი — თითოს 45 წუთის განმავლობაში. ამით მწვრთნელებს საშუალება ექნებოდათ განეხორციელებინათ ტაქტიკური გადაადგილებები.

და კიდევ, მსაჯთა ბრიგადას დავუმატებდი ერთ კაცს, რომელიც პასუხს აგებდა ვიდეოჩანაწერზე. დღეს მსაჯები მუდმივი, კოლოსალური გავლენის ქვეშ იმყოფებიან. მათი თითოეული გადაწყვეტილება ლამის ათი კამერით, სხვადასხვა წერტილიდან ფიქსირდება. გარდა ამისა, ჩვენს დროში ფეხბურთის თამაში შესამჩნევად „აჩქარდა". მსაჯებისთვის უპრიანი იქნებოდა, გადაწყვეტილების მიღებამდე სადავო მომენტი ვიდეოფირზე ენახა.

◆ ***დავუბრუნდეთ მსოფლიო ჩემპიონატის თემას. როგორი განწყობით ხვდება ინგლისის ნაკრები ამ მნიშვნელოვან საფეხბურთო ტურნირს?***

— თითოეული ფეხბურთელი დარწმუნებულია, რომ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეიძლება. ასეთი განწყობა გვქონდა მსოფლიოს წინა ჩემპიონატის დაწყებამდეც, მაგრამ ახლა ჩვენ უფრო დარწმუნებული ვართ საკუთარ ძალებში. აბა, სხვანაირად როგორ იქნება, როცა გუნდში გვყავს დევიდ ბექჰემი, სტივენ ჯერარდი, ფრენკ ლამპარდი, მაიკლ ოუენი, უეინ რუნი... კაპიტანი ბექჰემია, რომელიც წარმატებით თამაშობს ამ სეზონში მადრიდის „რეალის" შემადგენლობაში.

◆ ***კაპიტნის სამკლაურთან დაკავშირებით დიდი დავა იყო...***

— ბექჰემი უკვე ხუთი წელიწადია კაპიტანია და მსოფლიო ჩემპიონატამდე რამდენიმე თვით ადრე მისი შეცვლის საჭიროებას ვერ ვხედავ.

◆ ***რომელი მომენტი იყო ყველაზე ძნელი ინგლისის ნაკრებისთვის მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისაკენ მიმავალ გზაზე?***

— იყო ორი თამაში, რომლებიც ჩვენთვის არასახარბიელო შედეგით დასრულდა, და რომლის გამოც მაკრიტიკებდნენ. სასტარტო შეხვედრაში ფრედ ვითამაშეთ ავსტრიელებთან, მოგვიანებით კი ბელფასტში დავმარცხდით ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდთან.

◆ ***კრიტიკის განსაკუთრებული ობიექტი თქვენც იყავით...***

— რას ვიზამთ? ასე ხდება ხოლმე. ახლა ეს უკვე ისტორიაა.

◆ ***რა როლი ითამაშეს თქვენს ცხოვრებაში მსოფლიო ჩემპიონატებმა?***

— ჩემთვის ყველაფერი 1958 წელს დაიწყო, როცა მსოფლიო ჩემპიონატი შვედეთში ჩატარდა. მაშინ 10 წლის ვიყავი. უკვე „მილანს" გულშემატკივრობდი. მით უმეტეს, რომ მაშინ იტალიურ გუნდში სამი შვედი ფეხბურთელი თამაშობდა: გუნარ გრენი, გუნარ ნორდალი და ნილს ლიდჰოლმი. სხვანაირად მათ „გრენოლის ტრიოს" ეძახდნენ. მახსოვს, ბავშვობაში წავიკითხე ნორდალის წიგნი „ოქრო მწვანე მინდორზე", რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ ასპარეზობდნენ შვედი ფეხბურთელები იტალიაში. მაშინ ყველა შვედი ბავშვი ოცნებობდა გამხდარიყო ფეხბურთელი და ეთამაშა იტალიაში. სახლში ტელევიზორი არ მქონდა, ამიტომაც მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატის ფინალური შეხვედრის საყურებლად მამასთან ერთად ნათესავებთან გავეშურე. სატელევიზიო გამოსახულება შავ-თეთრი იყო, მიუხედავად ამისა, ჩვენ [illegible] ვიხილეთ, — [illegible] ნაკრების ნამდვილი ტრიუმფი.



◆ ***მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატში ვის მიიჩნევთ კონკურენტებად?***

— ბრაზილიელები, ცხადია, ფავორიტები არიან, ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ მათ უპირატესობას ყოველ მსოფლიო ჩემპიონატში ანიჭებდნენ. აი, მახსოვს, რომ სამხრეთამერიკელებს 1982 წელს აშკარად გაუჭირდათ, არადა, იმ წელს ძალიან კარგი გუნდი ჰყავდათ, — ისინი ოქროს მედლებს იმსახურებდნენ.

◆ ***თუ ინგლისის ნაკრებმა ფინალამდე მიაღწია, ვისთან ისურვებდით თამაშს?***

— რა მნიშვნელობა აქვს? თუ ფინალში გავალთ, ნებისმიერ მეტოქესთან ვიბრძოლებთ ჩემპიონობისათვის.

◆ ***თქვენ ინგლისის ნაკრებთან კონტრაქტი ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის ბოლომდე გქონდათ დადებული, მაგრამ გადაწყვიტეთ მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატის დარსრულებისთანავე დატოვოთ პოსტი. რატომ?***

— ინგლისის ნაკრებთან 2001 წლიდან ვმუშაობ. ახლანდელ დროში კი ეს ძალიან დიდი პერიოდია. ჩემს გარშემო შექმნილი სიტუაცია მომბეზრდა. ამიტომ გადავწყვიტე, რომ ზაფხულში წავიდე, თანაც თავაწეული — დარწმუნებული ვარ, მსოფლიო ჩემპიონატის მოგება შეგვიძლია.

◆ ***როგორი იქნება თქვენი მარშრუტი მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ?***

— ბევრი ჭორი აგორდება, ვიცი ჟურნალისტები ხან ერთ გუნდში „გამგზავნიან", ხან — მეორეში. ვერაფერს გეტყვით წინასწარ. ჯერჯერობით ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ვარ. ერთს გეტყვით, მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ პენსიაზე გასვლას არ ვაპირებ.

# რონალდოს ცრემლები
## «რეალმა» 1–6 წააგო!

**შუა კვირაში გერმანიასა და იტალიაში ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურებისათვის მოიცალეს.**

**ბუნდესლიგის** მე-20 ტურში ერთპიროვნული ლიდერი მიუნხენის „ბაიერნი" სტუმრად ფრეს დასჯერდა „ჰერტასთან" შეხვედრაში — 0-0.

**„ბაიერნი" ასეთი შემადგენლობით თამაშობდა:** კანი, დემიკელისი, ისმაელი, ლამი, ლუსიო, ბალაკი, დაისლერი (კარიმი, 59), სალიჰამიჯიჩი, მაკაი (გერერო, 64), პისარო, შვაინშტაიგერი (ოტი, 85).

ასევე უგოლოდ დასრულდა შეხვედრა „შტუტგარტსა" და ბრემენის „ვერდერს" შორის. ვერც ლევან კობიაშვილის „შალკემ" ვერ მოახერხა გამარჯვების მოპოვება სტუმრად „მიონხენგლადბახთან" — 0-0.

**„შალკეს" შემადგენლობა:** როსტი, ბორდონი, კრსტაიჩი, რაფინია, ბაირამოვიჩი, ერნსტი, კობიაშვილი, ლინკოლნი, ვარელა, კურანი, სანდი.

**სხვა შეხვედრები:** „ჰანოვერი" — „ჰამბურგი" 2-1, „ლევერკუზენი" — „ვოლფსბურგი" 4-0, „ნიურნბერგი" — „აინტრახტი" 0-1, „დორტმუნდი" — „დუისბურგი" 2-0, „კაიზერსლაუტერნი" — „კიოლნი" 2-2, „არმინია" — „მაინცი" 1-1.

**სატურნირო ცხრილის პირველი ხუთეული:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 20 | 16 | 3 | 1 | 39-13 | 50 |
| ვერდერი | 20 | 13 | 4 | 3 | 51-23 | 43 |
| ჰამბურგი | 20 | 12 | 5 | 3 | 31-12 | 41 |
| შალკე | 20 | 9 | 9 | 2 | 22-12 | 36 |
| ჰერტა | 20 | 7 | 8 | 5 | 29-26 | 29 |

**იტალიის სერია „ა"-ს** 24-ე ტურში კახი კალაძის გარეშე მოთამაშე „მილანმა" საკუთარ მოედანზე „მიწასთან" გაასწორა „ტრევიზო" — 5-0. ანდრეი შევჩენკომ ორი ბურთი გაიტანა, თითოჯერ თავი გამოიჩინეს კაკამ, ჯილარდინომ და ინძაგიმ.

**„მილანი":** დიდა, ნესტა (კოსტაკურტა, 46), შიმიჩი, სტამი, გატუზო, კაკა, ზეედორფი, სერჟინიო, ფოგელი, ჯილარდინო, შევჩენკო (ინძაგი, 66).

ერთპიროვნული ლიდერი „იუვენტუსი" კი საკუთარ მოედანზე ფრეს დასჯერდა „პარმასთან" — 1-1. თავდაპირველად სტუმრები დაწინაურდნენ 39-ე წუთზე დესენას მიერ გატანილი ბურთის წყალობით, მაგრამ 5 წუთში იბრაჰიმოვიჩმა წონასწორობა აღადგინა. მეორე ნახევარში მასპინძლებს ჰქონდათ საგოლე მომენტები, მაგრამ მათი რეალიზება ვერ მოახერხეს.

**„იუვენტუსი":** ბუფონი, ბალცარეტი, კანავარო, ტურამი, ძამბროტა (ბლაზი, 50), ემერსონი, ნედვედი, ვიეირა, დელ პიერო, იბრაჰიმოვიჩი (ტრეზეგე, 46), მუტუ (კამორანეზი, 81).

„რომამ" მორიგი გამარჯვება იზეიმა, — ამჯერად საკუთარ მოედანზე 4-3 სძლია „კალიარის". გამარჯვებულთაგან ორი ბურთი ტოტიმ გაიტანა, თითოჯერ თავი გამოიჩინეს პეროტამ და დე როსიმ.



**„რომა":** დონი, ბოკო, კუფრე, მანჩინი, მექსე, პანუჩი (როსი, 74), აკვილანი, დე როსი, ტადეი (ალვარესი, 85), პეროტა, ტოტი.

მეტად საინტერესო გამოდგა ლიდერთა ჯგუფში მყოფი გუნდების — „ფიორენტინასა" და „ინტერის" დაპირისპირება. მე-10 წუთზე ბროკიმ დააწინაურა „იები", მეორე ნახევრის დაწყებიდან 15 წუთი იყო გასული, როცა ჰიმენესმა მეორედ აიღო „ინტერის" კარი. მხოლოდ მატჩის მიწურულს შეძლო რეკობამ ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა. „ფიორენტინამ" 2-1 მოიგო.

**„ფიორენტინა":** ლობონტი, დაინელი, კროლდრუპი, პასკუალი, უიფალუში, ბროკი, ფიორე, იორგენსენი, პაჩიენცა, ბოჟინოვი (ჰიმენესი, 52), ტონი.

**„ინტერი":** სეზარი, ბურდისო (პისარო, 85), კორდობა, სამუელი, ხ. ძანეტი, კამბიასო (გონსალესი, 71), ფიგუ, სტანკოვიჩი, ვერონი, ადრიანო, კრუზი (რეკობა, 66).

**სხვა შეხვედრები:** „ასკოლი" — „ლივორნო" 0-0, „ლეჩე" — „ემპოლი" 1-2, „უდინეზე" — „რეჯინა" 1-2, „მესინა" — „სიენა" 0-0, „კიევო" — „სამპდორია" 1-1, „პალერმო" — „ლაციო" 3-1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 24 | 20 | 3 | 1 | 49-14 | 63 |
| ინტერი | 24 | 17 | 3 | 4 | 47-18 | 54 |
| მილანი | 24 | 16 | 3 | 5 | 53-23 | 51 |
| ფიორენტინა | 24 | 15 | 5 | 4 | 41-23 | 50 |
| რომა | 24 | 13 | 6 | 5 | 46-25 | 45 |

გაიმართა გადადებული მატჩი ინგლისის პრემიერლიგაში. „ლივერპულმა" სტუმრად მარცხი იწვნია „ჩარლტონთან" შეხვედრაში.

**„ლივერპული":** დუდეკი, კარაგერი, ფინანი, ჰიუპია (რიისე, 70), ტრაორე, ხაბი ალონსო, კიუელი, სისოკო, კრაუჩი (ფაულერი, 60), სისე (კრომკამპი, 78), მორიენტესი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 25 | 21 | 3 | 1 | 52-13 | 66 |
| მანჩ. იუნაიტ | 25 | 15 | 6 | 4 | 49-26 | 51 |
| ლივერპული | 24 | 13 | 6 | 5 | 30-17 | 45 |
| ტოტენჰემი | 25 | 12 | 8 | 5 | 34-21 | 44 |
| არსენალი | 24 | 12 | 4 | 8 | 38-19 | 40 |

**ჰოლანდიის ჩემპიონატის** მორიგ ტურში შოთა არველაძის „ალკმაარმა" სტუმრად 5-0 გაანადგურა „როზენდალი". ქართველი ფორვარდის ანგარიშზე სამი გატანილი ბურთია.

**სხვა შეხვედრები:** „სპარტა" — „გრონინგენი" 1-0, „დენ ჰააგი" — „ბრედა" 0-3, „ჰერაკლესი" — „ჰეერენვენი" 1-1, „ნაიმეგენი" — „ფეიენოორდი" 1-2, „როდა" — „ვაალვაიკი" 1-0, „უტრეხტი" — პსვ 1-2, „ვიტესი" — „ტვენტე" 1-2, „აიაქსი" — „ტილბურგი" 1-0.

სატურნირო ცხრილში 57 ქულით პსვ ლიდერობს, რომელსაც 3 ქულით ჩამორჩება „ფეიენოორდი". 52 ქულით მესამე ადგილზეა „ალკმაარი".

სენსაცია მოხდა ესპანეთის თასის გათამაშებაში. „სარაგოსამ" 6-1 გაანადგურა მადრიდის „რეალი".

„სამეფო კლუბის" კარში ოთხი ბურთი მილიტომ გაიტანა, ხოლო ორი ბურთი — ევერტონმა. „რეალის" ფეხბურთელთაგან ერთადერთი საპასუხო ბურთის ავტორი ბაპტისტაა.

ინგლისის თასის მეთექვსმეტედფინალში ლონდონის „ჩელსიმ" დაამარცხა „ევერტონი" 4-1, ხოლო „მიდლსბრომ" 1-0 მოუგო „ქოვენთრის".



# ნბა



## აუტსაიდერმა „შარლოტამ" აივერსონის გუნდს აჯობა

გაიმართა ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგი თამაშები. მეტად საინტერესო გამოდგა „ტორონტოსა" და „სან-ანტონიოს" დაპირისპირება. გამარჯვებული მხოლოდ დამატებითმა დრომ გამოავლინა. „სან-ანტონიომ" 125:118 იმარჯვა. გამარჯვებულთა რიგებში ბრწყინავდა პარკერი, რომელმაც „სან-ანტონიოს" 32 ქულა შესძინა და 13 შედეგიანი გადაცემა შეასრულა. აუტსაიდერმა „შარლოტამ" საკუთარ მოედანზე ყველასთვის მოულოდნელად 100:92 დაამარცხა „ფილადელფია". სტუმრებს ვერ უშველა აივერსონმა, რომელიც მხოლოდ 20 ქულის მოპოვებით შემოიფარგლა. ლებრონ ჯეიმსი კი დიდად დაეხმარა თავის გუნდს „კლივლენდს" სტუმრად „მინესოტასთან" გამარჯვების მოპოვებაში. ჯეიმსმა 35 ქულა მოაგროვა, 11-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან და 8 შედეგიანი გადაცემა შეასრულა. მასპინძელთა გუნდში კი აქტიურობდა დევისი, რომლის ანგარიშზეც 3 ქულაა.

შედეგიანობით უხვი გამოდგა შეხვედრა „ვაშინგტონსა" და „გოლდენ სტეიტს" შორის. 5 ქულის სხვაობით — 129:124 იმარჯვა „ვაშინგტონმა", რომლის რიგებშიც ბრწყინავდა არენასი. ამ კალათბურთელმა 45 ქულა მოაგროვა, 5-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან და 7 შედეგიანი გადაცემა შეასრულა. 11 ქულით ნაკლებია მისი თანაგუნდელის ბატლერის ანგარიშზე, თუმცა, ამ უკანასკნელმა 15-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

**გუშინდელი სხვა შეხვედრები:** „ინდიანა" — „პორტლენდი" 101:69, „ნიუ-ჯერსი" — „ნიუ-იორკი" 96:83, „დეტროიტი" — „კლიპერსი" 97:87, „ნიუ-ორლეანი" — „სიეტლი" 109:102, „ჰიუსტონი" — „ლეიკერსი" 78:89, „მილუოკი" — „ორლანდო" 94:89 (ო.ვ.), „ფინიქსი" — „მემფისი" 108:102, „დენვერი" — „ჩიკაგო" 107:110.

აღმოსავლეთ კონფერენციაში ერთპიროვნული ლიდერი კვლავ „დეტროიტია", რომელმაც 47 ჩატარებულ შეხვედრაში 39 გამარჯვება მოიპოვა. მეორე ადგილზეა „მაიამი". მის ანგარიშზე 29 მოგებაა. ზაზა ფაჩულიას „ატლანტა" მე-12 ადგილზეა 16 მოპოვებული გამარჯვებით.

დასავლეთ კონფერენციაში პირველ ადგილზე მყოფ „სან-ანტონიოს" აქტივში 37 გამარჯვებაა. ერთით ნაკლები შეხვედრა მოიგო „დალასმა".

## ივკოვიჩი გიორგი ცინცაძეს ენდობა

ცნობილია, რომ მოსკოვის „დინამოს" კალათბურთელ ვაჟთა გუნდში თამაშობს გიორგი ცინცაძე, რომელსაც 7 თებერვალს 20 წელი შეუსრულდა. ქართველი კალათბურთელი კარგად ჩაერთო ცსკა-სთან შეხვედრაში. მანამდე „დინამო" 20 ქულით აგებდა შეხვედრას. მოედანზე ცინცაძის გამოჩენის შემდეგ ეს სხვაობა შემცირდა. ქართველი კალათბურთელის კარგ თამაშს ტრიბუნებიდან ოვაციებით ხვდებოდნენ.

მატჩის შემდეგ გიორგი ცინცაძემ განაცხადა, რომ არ ელოდა თუ მთავარი მწვრთნელი სერბი ივკოვიჩი ანდობდა ადგილს ძირითად შემადგენლობაში:

„წინა შეხვედრაში „შარლერუასთან" თამაში არ წამივიდა. აქედან გამომდინარე, მეგონა, რომ მწვრთნელი არ გამომიყვანდა მოედანზე არმიის სპორტული კლუბის წინააღმდეგ. როცა მაინც მენდო, ვცდილობდი ჩემი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამომეყენებინა. როგორც ჩანს, ცუდად არ მითამაშია."

მანვე ასეთი შეფასება მისცა მოსკოვის „დინამოს" მთავარ მწვრთნელს: „ივკოვიჩი შესანიშნავი სპეციალისტია. ის ძირითად აქცენტს დაცვაზე აკეთებს. გარდა ამისა, თავის გამოჩენის საშუალებას აძლევს ახალგაზრდა კალათბურთელებს.

◆ ***რაში გამოიხატება გიორგი ცინცაძის ძლიერი და სუსტი მხარეები?***

— ძლიერი მხარეები ჯერჯერობით არ მაქვს. რაც შეეხება სისუსტეს, აუცილებლად უნდა მოვუმატო დაცვაში თამაშს. მაკლია ფიზიკური სიძლიერე და სისწრაფეც.

◆ ***უკვე 15 წლისა თქვენ საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ გაღიარეს. რა დონისაა ეს შეჯიბრება?***

— ჩემთვის მაშინ საქართველოს ჩემპიონატი საკმაოდ სერიოზული ტურნირი იყო. მოხდა ისე, რომ მოვიპოვე ერთბაშად რამდენიმე ტიტული — საუკეთესო მოთამაშის, საუკეთესო გამთამაშებლის, საუკეთესო ახალგაზრდა კალათბურთელის... რაც მართალია, მართალია, საქართველოს ჩემპიონატი ბევრი ქვეყნის პირველობას ჩამოუვარდება. ჩვენს ქვეყანაში არიან ნამდვილი ტალანტები, მაგრამ მათი პროგრესისათვის პირობები არ არის. საქართველოს ჩემპიონატის დონე თანდათან მაღლდება.

◆ ***საქართველოს ნაკრებსაც შევეხოთ: თქვენი მშობლიური ქვეყნის გუნდის ღირსებას იცავს ამერიკელი შემონდ უილიამსი, რომელსაც ნბა-ში უთამაშია. ახლა ესპანეთის „ბარსელონას" ღირსებას იცავს...***

— შემონდი კარგი ადამიანია და ბრწყინვალე მოთამაშე. ის დიდად ეხმარება საქართველოს ნაკრებს. სამწუხაროა, რომ საქართველოს ნაკრებმა ჯერჯერობით ვერ შეძლო სერიოზული წარმატების მიღწევა საერთაშორისო არენაზე. ვიმედოვნებ, რომ ეს მომავალში მოხდება.



## ფრანკო კარარო: „ოლიმპიადა უმაღლეს დონეზე ჩატარდება"



66 წლის ფრანკო კარარო ცნობილი კაცია იტალიაში. ის ამქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრიცაა. თავის დროზე იტალიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტიც იყო. გთავაზობთ ფრანკო კარაროს მიერ „სპორტ-ექსპრესისათვის" მიცემულ ინტერვიუს.

◆ ***თქვენი აზრით, რას ნიშნავს იტალიისათვის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის როლი?***

— ვფიქრობ, ეს მეტად მნიშვნელოვანი როლია. მოხარული ვარ, რომ ჩემი ქვეყანა მასპინძლობს ისეთ უმნიშვნელოვანეს სპორტულ ღონისძიებას, როგორიც ზამთრის ოლიმპიური თამაშებია.

◆ ***ჩვენს პრაგმატულ დროში ოლიმპიადებმა ისევ შეინარჩუნეს სპორტული მიმზიდველობა?***

— რა თქმა უნდა. ოლიმპიადები აგრძელებენ მსოფლიო ხალხების მეგობრობის და გაერთიანების იდეის განხორციელებას. მით უმეტეს, რომ სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელი სპორტსმენები ერთ ტერიტორიაზე ცხოვრობენ — ოლიმპიურ სოფელში. ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვების მოპოვება მეტად საპატიოა. ოქროს მედლის მფლობელი ადამიანი მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში ოლიმპიურ ჩემპიონად რჩება და არა „ექს-ჩემპიონად". ოლიმპიადა ეს არის ერთადერთი სპორტული ღონისძიება მსოფლიოში, რომელმაც შეინარჩუნა თავისი პრინციპები და ბრწყინვალება.

◆ ***ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტის ბოლო ნაწილი იტალიაში გადიოდა, სადაც რამდენიმე ადგილას ამ პროცესს პრობლემები შეუქმნეს. ბევრი ფიქრობს, რომ იტალიელებს ბოლომდე ვერ გაუთავისებიათ ოლიმპიადის მნიშვნელობა...***

— მე პირიქით ვიტყოდი. იმ ადამიანებმა, რომლებიც ცდილობდნენ ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტისათვის ხელის შეშლას, ძალიან კარგად იციან, თუ რას ნიშნავს ქვეყნისათვის ოლიმპიადა და ამ მომენტის თავიანთ სასარგებლოდ გამოყენებას ცდილობენ. ბევრი ადამიანი ცდილობს, ამგვარი მოქმედებით ყურადღება მიიპყროს, მისი სურათი გაჩნდეს პრესის ფურცლებზე და ა.შ.

◆ ***საბედნიეროდ, ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტის ბოლო ეტაპი შეფერხებების გარეშე ჩატარდა. რას უნდა ველოდოთ ტურინში ოლიმპიური თამაშებისგან?***

— ვფიქრობ, რომ ოლიმპიადა უმაღლეს დონეზე ჩატარდება. ტურინელებმა სერიოზულად იმუშავეს, რათა თამაშები ნამდვილ დღესასწაულად გადაექციათ. ეს ზეიმი იტალიაში უფრო ლამაზად რომ აღიქვან, ორი ფაქტორი არის გასათვალისწინებელი: იტალიელი სპორტსმენების გამარჯვება და კარგი ამინდი. მზიანი დღეები უფრო უმსუბუქებენ სამუშაოს ოლიმპიადის ორგანიზატორებს. წინა ოლიმპიადებიდან ჩემი აზრით, საუკეთესო ნორვეგიის ქალაქ ლილეჰამერში ჩატარებული თამაშები იყო. ორი კვირის განმავლობაში ციოდა. სამაგიეროდ, მზიანი ამინდები იდგა და ამან ზამთრის ოლიმპიური თამაშები კიდევ უფრო გაალამაზა.

◆ ***ახლა იტალიაში მიმდინარეობს პოლემიკა რომსა და მილანს შორის — ორივე ქალაქს სურს წამოაყენოს საკუთარი კანდიდატურა 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე.***

— თავის დროზე ტურინმა აჯობა თავის კონკურენტებს, რაშიც დიდი წვლილი მიუძღოდათ ისეთ ცნობილ ადამიანებს, როგორებიც იყვნენ ჯანი და უმბერტო ანიელები. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დაინახა, რომ თამაშების მომზადებისათვის იმუშავებდა სერიოზული საორგანიზაციო „მანქანა". მილანმა და რომმა პირველ რიგში უნდა იზრუნონ, თუ ვინ გააკეთებს მათ რეკლამას კონკურენტებთან მიმართებაში. ბრწყინვალე ადამიანების გარეშე ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის პრეტენდენტთა კონკურსში გამარჯვება ძალზე ძნელია.

## ბელგიის გრან პრი აღარ გათამაშდება

„ფორმულა-1"-ის წლევანდელი სეზონის კალენდრიდან ამოღებული იქნება ბელგიის გან პრის გათამაშება, რომელიც პირველ სექტემბერს უნდა ჩატარებულიყო. ეს გამოწვეულია ფინანსური პრობლემებით. საქმე ის არის, რომ 2005 წელს ჩატარებული შეჯიბრების დროს მიღებული შემოსავალი იმდენად მცირე იყო, რომ გრან პრის ორგანიზატორები გაკოტრებამდე მიიყვანა. ბელგიური მხარე იმედოვნებდა, რომ „ფორმულა-1"-ის ტრადიციული რბოლები მათ ქვეყანაში 2008 წლიდან აღდგება.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**10 თებერვალი, პარასკევი**

**საქართველოს ტელევიზია. საზოგადოებრივი არხი.** ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნა (22.30). **НТВ плюс спорт.** ოლიმპიური პრეს-ცენტრი (11.00, 14.00, 17.00, 18.40, 21.30). ჰარმონიის ფორმულა (11.25). გადაცემა ფრენბურთის შესახებ „ექსი-ექსზე" (13.00). აფროსნობა (13.30). კვირის მიმოხილვა (14.15). სნოუბორდი. მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპი ავსტრიაში (15.00). კალათბურთი. ფიბას მატჩების მიმოხილვა (15.30), ტაილანდური კრივი (16.00). „თეთრი ოლიმპიადების ისტორია" (17.15). კალათბურთი. ნბა-ს მატჩების მიმოხილვა (18.10). ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „ოტავა" — „ატლანტა" (18.40), „ოლიმპიური სპორტის ლეგენდები" (20.55). „ოლიმპიური ოვერტაიმი" (21.55). ოლიმპიური თამაშები ტურინში. გახსნის ცერემონიალი (22.55). **EUROSPORT.** ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტა (11.30). ფეხბურთი. აფრიკის თასი (12.30). ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი (14.00). თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა (15.30). ჩოგბურთი. ვტა-ს ტურნირი საფრანგეთში (17.00). ბოულინგი (18.30). ფეხბურთი. აფრიკის თასი (19.45). ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნა (23.00). ევროსპორტის ახალი ამბები (3.30).

**11 თებერვალი, შაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. საზოგადოებრივი არხი.** ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნა (12.15, გამეორებით). ფიგურული სრიალი (22.00). **НТВ плюс спорт.** ოლიმპიური პრესცენტრი (12.00, 18.00, 21.30). ოლიმპიადა. ბიატლონი (15.55). ჰოკეი (18.30). ფრისტაილი. ქალები (20.50). ფიგურული სრიალი (22.00). თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა (2.10). სათხილამურო ორჭიდი (5.20). **EUROSPORT.** ოლიმპიური თამაშები ტურინში. სათხილამურო ორჭიდი (13.00). ბიატლონი. ვაჟები (16.00). ოლიმპიადის ახალი ამბები (17.55). ფრისტაილი (18.45). ჰოკეი (19.30). თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა (21.00). ფიგურული სრიალი (22.00). ციგურებით რბენა (3.30).

**12 თებერვალი, კვირა**

**საქართველოს ტელევიზია. საზოგადოებრივი არხი.** ოლიმპიური დღიური (12.15). სამთო-სათხილამურო სპორტი. ვაჟები. სწრაფდაშვება (15.00). **НТВ плюс спорт.** ოლიმპიური ოვერტაიმი (11.00). ოლიმპიური პრესცენტრი (12.00, 14.00, 16.30, 18.30). ოლიმპიური სპორტის ლეგენდები (12.20). თხილამურებით რბოლა. ქალები (12.55). სამთო-სათხილამურო სპორტი. ვაჟები. სწრაფდაშვება (15.00). ციგაობა (18.55). თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა (22.35), ციგურაობა. ქალები (0.35). სნოუბორდი (4.30). **EUROSPORT.** ოლიმპიური თამაშები. ბიატლონი (6.00). ფიგურული სრიალი (7.00). სათხილამურო ორჭიდი (12.15). თხილამურებით რბოლა. ქალები (13.00). თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა (14.00). სამთო-სათხილამურო სპორტი. სწრაფდაშვება (15.00). ოლიმპიადის ახალი ამბები (16.40). სნოუბორდი (18.15). ციგაობა (19.00). თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა (20.00). შორტ-ტრეკი (23.15). ციგურაობა (3.30).

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. მძლეოსნობის დისციპლინა, რბენა საგნით, 5. მძლეოსნობაში სიმაღლეზე ხტომაში დგარებს შორის გადებული საგანი, 9. ზამთრის სპორტის სახეობის ინვენტარი, 10. ცნობილი ქართველი ფალავანი, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი, 11. ადგილი საბერძნეთში, სადაც ჩაისახა ანტიკური ოლიმპიადები, 13. სროლაში ოლიმპიური ჩემპიონი (1972) კორეელი სპორტსმენი, 15. ძველ რომში არენაზე იარაღით ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლი მონები, 16. „ბაიერნის" ფეხბურთელი-ფორვარდი, 18. ცხენის მოსართავი, 21. ცნობილი ჩეხი ფეხბურთელი ლონდონის „ჩელსიში", 23. სოკ-ის ახლანდელი შეფი, 24. ლეგენდარული ავტომრბოლი, 25. ზამთრის ოლიმპიადის (1952) მასპინძელი ქალაქი, 27. წინასწარ რაიმესთვის გადახდილი თანხა, 28. ხანდახან მეკარის ნაცვლად იგერიებს ბურთს... 29. ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის თილისმა, 30. ევროლიგაში მოასპარეზე საკალათბურთო გუნდი, 31. ცნობილი სამხრეთაფრიკელი ფეხბურთელი.

**შვეულად:** 1. მინიფეხბურთელთა ქართული გუნდი, 2. ყოფილი ფრუნზეს საფეხბურთო გუნდი. 3. ბორჯომის საფეხბურთო გუნდი, 4. ლეგენდარული რუსი ჰოკეისტი, 6. პოლონეთის საფეხბურთო კლუბი, 7. პატარა დროშა, 8. რუსთავის საფეხბურთო კლუბის ქართული სახელი, 12. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი, 13. ელდარ კურტანიძის ნათლობის სახელი, 14. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 17. ოლიმპიური ჩემპიონი (1980) ქართველი ფალავანი, 18. თბილისის „დინამოს" ვეტერანი არაქართველი ფეხბურთელი, 19. ფეხბურთელ დარასელიას სახელი, 20. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 22. კრივში შემხვედრი დარტყმა, 26. საჭადრაკო კოეფიციენტის შემქნელი.



### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. შაშიაშვილი, 5. ნაკრები, 10. შაში, 11. „უდინეზე", 12. სკალა, 14. ტაისონი, 15. ციურიხი, 18. შტილი, 20. „კიოლნი", 22. „იუვენტუსი", 23. „ჩელსი", 25. მავლიხანოვი, 26. კრივი.

**შვეულად:** 1. შოშიტაშვილი, 2. შაშკინი, 3. შოუ, 4. ილია, 6. კისრული, 7. ეტაპი, 8. ისა, 9. „მზე", 13. გოლი, 16. ხანტეი, 17. ვლასოვი, 19. „ლიერსი", 20. კოლინა, 21. სტამი, 23. ჩოხა, 24. „იავა".

## საჭადრაკო ამოცანა

ა. კალინინი

„შახმატნოე ობოზრენიე" (1991 წ.)



შამათი 3 სვლაში

№9-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1. მg4!

1. ....... მფf3 2. ლa8X, 1. ....... მფd3 2. ლh7X, 1. ....... მფd5 2. ლe5X

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 98-23-94, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport2005@yahoo.com